

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ლელა ლატარია

რუსეთ-უკრაინის ომი და უკრაინული ნაციონალური იდენტობა

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის
კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დავით მაცაბერიძე
ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

რუსეთ-უკრაინის ომი და უკრაინული ნაციონალური იდენტობა

უკრაინას, რომელსაც ბევრი რთულადმოსაგვარებელი პრობლემა აწუხებდა, 2014 წლიდან საომარი ვითარებაც დაემატა. ომის პარალელურად, აქ ხდება არსებული ნაციონალური იდენტობის ნარატივების გადაფასება, რის გამოც უკრაინის ქეისის შესწავლა დღევანდელობაში განსაკუთრებით საინტერესოა ნაციონალიზმის კვლევების ფარგლებში. მოცემული ნაშრომი სწორედ აღნიშნულ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას, კერძოდ, კვლევას აინტერესებს როგორ იმოქმედა ომმა უკრაინაში არსებულ იდენტობის ნარატივებზე. კვლევაში საუბარია სამ ძირითად ნარატივზე, ესენია: პან-სლავური იდენტობის ნარატივი, უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი და ე.წ. „პატარა რუსების“ იდენტობის ნარატივი (Малороссийская идентичность). კვლევის პრობლემას წარმოადგენს უკრაინაში არსებული ხსენებული იდენტობის ნარატივებისა და ომის ფონზე ნაციონალურ იდენტობასთან დაკავშირებული ცვლილებების გამოკვეთა. ხოლო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის როლი უკრაინული ნაციონალური იდენტობისთვის. კვლევა თვისებრივია და ნაშრომში ხდება არსებული აკადემიური კვლევების, დოკუმენტებისა და ონლაინ რესურსების ანალიზი. ასევე, ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სტატისტიკური მონაცემებისა და სხვადასხვა გამოკითხვების ანალიზს.

ნაშრომი ეყრდნობა მოდერნიზმის თეორიას ნაციონალიზმის თეორიებიდან, რომლის ფარგლებშიც საუბარია სნაიდერისა და ბალენტაინის მიერ შემოთავაზებულ „იდენტობის ბაზარზე“. ვინაიდან, აღსანიშნავია, რომ უკრაინაში არსებულ „იდენტობის ბაზარზე“ ელიტები ერთმანეთს ეჯიბრებიან „პრო-რუსული“ და „პრო-ევროპული“ ვექტორის გარშემო წარმოებული ნარატივების მეშვეობით. პრო-რუსულ წრეში ნაშრომი ათავსებს „პატარა რუსების“ იდენტობის ნარატივს, ხოლო უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივს განიხილავს პრო-ევროპულ ნარატივად. ნაშრომში ცალკე თავად განხილულია უკრაინული ნაციონალური იდენტობის თანამედროვე გამოწვევები,

რომელთა შორის უმთავრესად მიიჩნევა იდენტობის ნარატივების გადაფასება და რეგიონალიზმი.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაშრომი ასკვნის, რომ პრო-რუსული ნარატივები ომის შემდეგ სუსტდებიან. ხოლო უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი ომის შემდეგ ძლიერდება. ამაზე მიუთითებს, უკრაინაში მომხდარი ომისშემდგომი ცვლილებები რელიგიისა და ენის მიმართულებით. კერძოდ, უკრაინელებმა მიიღეს კანონი უკრაინული ენის შესახებ, რომლის ფარგლებშიც უკრაინული ენის ცოდნა სავალდებულო იქნება სამოქალაქო სექტორში დასაქმებულებისთვის და რომლის წყალობითაც უკრაინულ ენას კიდევ უფრო დიდი გავლენა ექნება უკრაინელების მომავალზე. რელიგიის მიმართულებით სწორედ ომისშემდგომ გადაიდგა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ომმა უკრაინელებს საშუალება მისცა დაებრუნებინათ დიდი ხნის წინ დაკარგული ავტოკეფალია.

საერთო ჯამში, ნაშრომი მიდის დასკვნამდე, რომ „პატარა რუსებისა“ და პან-სლავური იდენტობის ნარატივები ამჟამად უკრაინელებში დიდ მოწონებას ვერ პოულობენ, ხოლო უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი კი მიმდინარე ომის ფონზე უფრო და უფრო ძლიერდება. ამასთანავე, სრულიად მოსალოდნელია, რომ უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი ლიდერულ პოზიციაზე კიდევ დიდხანს დარჩეს.

Annotation

The war between Russia and Ukraine and Ukrainian national identity

Country of Ukraine had many hardly solvable problems and from 2014 war became one of them. Parallel to the war, here comes the process of revising existing national identity narratives. Because of this matter, studying the case of Ukraine from nationalism and ethnicity studies is becoming very interesting. Following work is concentrating exactly on this case, more precisely the work is interested in how war is affecting national identity narratives of Ukraine. Research is discussing three main narratives: Pan-Slavic, "little Russian" (Малороссийская идентичность) and Ukrainian Ethno-cultural identity. Research problem is to identify changes of Ukrainian national identity with existing identity narratives and war background. The research is qualitative and the study analyzes existing academic studies, documents and online resources. In addition, considerable amount of space in the study is occupied by analysis of statistical data and various polls.

The thesis is based on the theory of Modernism from the theories of nationalism, within which thesis talks about idea of "market of ideas" proposed by Snyder and Ballentine. It is noteworthy that elites in the "market of ideas" created in Ukraine are competing with each other through the pro-Russian and pro-European narratives. In the pro-Russian circle, the work places the narrative of the "little Russia", and the narrative of Ukrainian ethno-cultural identity is considered as a pro-European narrative. In the paper, the contemporary challenges of the Ukrainian national identity are discussed shortly, main challenges are the revaluation of the identity narratives and regionalism.

Based on analysis of statistical data, thesis concludes that pro-Russian narratives are weakened after the war. Moreover, the Ukrainian ethno-cultural identity narrative becomes stronger after the war. This is indicated by the postwar changes in Ukraine in the direction of religion and language. In particular, the Ukrainians have adopted a law on the Ukrainian language in which knowledge of Ukrainian language is required for civil sector workers and hence force the

Ukrainian language will have a greater influence on the future of Ukraine. Regarding religion, the war allowed the Ukrainians to retrieve the long-lost autocephaly.

Overall, the work goes on to conclude that narratives of the "little Russia" and Pan-Slavic Identities do not find great feedback in Ukrainians, but contrary, the narrative of Ukrainian ethno-cultural identity is even stronger in the face of the current war. In addition, it is anticipated that the Ukrainian ethno-cultural identity narrative will remain on leading position for longer period.

სარჩევი

შესავალი	1
ცნებების ოპერაციონალიზაცია	4
უკრაინული ნაციონალური იდენტობის ნარატივები.....	5
თეორიული ჭრილი	6
ლიტერატურის მიმოხილვა	10
უკრაინის ზოგადი დახასიათება	13
მცირე ისტორიული მიმოხილვა.....	17
უკრაინული ნაციონალური იდენტობის თანამედროვე გამოწვევები	24
ომის გავლენა ნაციონალური იდენტობის ნარატივებზე: სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი	31
დასკვნა	41
ბიბლიოგრაფია.....	43

შესავალი

საერთაშორისო ასპარეზზე, ყურადღების ეპიცენტრში იმყოფება უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი, რომელიც 2014 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. დაპირისპირება უკრაინასა და რუსეთს შორის ევრომაიდნის რევოლუციას მოჰყვა, როდესაც რუსეთმა უკრაინელი ხალხის მიერ დასავლეთისკენ აღებულ მკაფიო გეზს ყირიმის ანექსიით უპასუხა. აღსანიშნავია, რომ უკრაინას მრავალგვარი, უმეტეს შემთხვევაში, რთულად მოსაგვარებელი პრობლემები აწუხებს (კორუფცია, უმუშევრობის მაღალი დონე, ინსტიტუტების არასაკმარისი სიმყარე, დემოკრატიის დაბალი ხარისხი და ა.შ). ამ პრობლემებს 2014 წლიდან საომარი ვითარებაც დაემატა, რამაც მკვლევარების მხრიდან ამ ქვეყნით დაინტერესება კიდევ უფრო გაზარდა. არამხოლოდ სამეცნიერო საზოგადოება, საერთაშორისო აქტორებიც გაცილებით აქტიურად დაინტერესდნენ უკრაინის საკითხით. მის დასაცავად, ევროპისა და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებმა, რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციებიც შეიმუშავეს.

არსებულ ვითარებაში ხდება უკრაინული ნაციონალური იდენტობის ნარატივების გადაფასება. მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, უკრაინული ნაციონალური მოძრაობის ისტორია ძირითადად წარმოადგენს სამი (უკრაინული) ნაციონალური იდენტობის პროექტის გარშემო გამართულ ბრძოლას. თითოეული მათგანი თავისებურად ახდენს უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების და პრინციპების განსაზღვრას. ისტორიულად პირველი იყო პან-სლავური იდენტობა, რომელის მიხედვით უკრაინა და რუსეთი ერთად მოიაზრებიან პან-სლავური სამყაროს წევრებად. აქ ხაზი ესმევა სლავი ხალხის განსაკუთრებული კულტურული, რელიგიური, თუ ნაციონალური მახასიათებლების მსგავსებას. შემდეგი პროექტია უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობა, რომელიც რუსულ იდენტობასთან მიმართებით განსხვავებული და ოპოზიციურია. და ბოლოს, არსებობს მესამე პროექტი, ე.წ „პატარა რუსების“ იდენტობა (Малороссийская идентичность). ეს უკანასკნელი მომდინარეობს საერთორუსული იდენტობის ხედვიდან, რომლის მიხედვითაც არსებობს ე.წ общерусский народ, სადაც, უკრაინა, ისევე, როგორც ბელარუსი, მოიაზრება რუსების

ნაციონალურ პროექტში. ეს პროექტი ეყრდნობა შემდგომ წარმოდგენას: რუსეთი (დიდი რუსეთი -Великая россия), უკრაინა (პატარა რუსეთი- Малая Русь) და ბელარუსი (თეთრი რუსეთი-Белая Русь), რომელთაც აერთიანებთ საერთო წარმომავლობა (კიევის რუსეთი), რელიგია (მართლმადიდებლობა) და ენა (ძველი საღვთისმეტყველო სლავური) (Kiryukhin, 2016, 57). დღესდღეობით, ომის პარალელურად რეკონსტრუქციის პროცესშია უკრაინული ნაციონალური იდენტობა, თუმცა ის, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი საკმაოდ რთულად განსასაზღვრია. ამ შემთხვევაში მოცემული კვლევის პრობლემა უკრაინაში არსებული განსხვავებული იდენტობის ნარატივებისა (პან-სლავური; უკრაინული ეთნო-კულტურული და „პატარა რუსების“ იდენტობა) და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ფონზე, უკრაინულ ნაციონალურ იდენტობასთან დაკავშირებული ცვლილებების გამოკვეთაა.

რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტის გავლენა უკრაინის ნაციონალურ იდენტობაზე სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. წარმოდგენილი ნაშრომი კი ეცდება თავისი მცირე წვლილი შეიტანოს კვლევაში სწორედ ამ მიმართულებით. **კვლევის მიზანი** იქნება შეისწავლოს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის როლი უკრაინული ნაციონალური იდენტობისთვის რუსეთისგან გამიჯვნის გზაზე. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა პასუხი გაეცეს საკვლევ კითხვას: როგორ იმოქმედა რუსეთ-უკრაინის ომმა უკრაინაში არსებულ იდენტობის ნარატივებზე? (პან-სლავური; უკრაინული ეთნო-კულტურული და „პატარა რუსების“ იდენტობა)

შესაბამისად, კვლევის დამოკიდებული ცვლადებია უკრაინაში არსებული იდენტობის ნარატივები, რომლებზეც ცალ-ცალკე ზემოქმედებს დამოუკიდებელი ცვლადი- რუსეთ-უკრაინის ომი.

აქედან გამომდინარე, კვლევას აქვს **ჰიპოთეზა**, რომელსაც ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ, კერძოდ : ომმა უკრაინა კიდევ უფრო ჩამოაშორა, რუსულ სივრცეს/იდენტობასა, „მშობისა და მეგობრობის“ ნარატივი შეასუსტა, ხოლო უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობა ომმა კიდევ უფრო გამოკვეთა და გააძლიერა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული განსხვავებული იდენტობის ნარატივების არსებობა პრობლემას ქმნის ერთიანი, ძლიერი ნაციონალური იდენტობის ფუნქციონირების გზაზე. ამავდროულად, კვლევას მიაჩნია, რომ სამხედრო დაპირისპირება უკრაინასა და რუსეთს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უკრაინული ნაციონალური იდენტობისთვის. ვინაიდან, მას შეუძლია დაეხმაროს უკრაინელ მმართველებს მოახდინონ უკრაინული იდენტობის, როგორც ცალკე არსებულისა და რუსულისგან განსხვავებულის ლეგიტიმაცია და ფართო მასებში დანერგვა.

მოცემული კვლევა წარმოადგენს ქეისის შესწავლას. კონკრეტულ ქეისად აღებულია უკრაინის შემთხვევა. ქეისის შესწავლა ეყრდნობა თემასთან დაკავშირებული მასალების ანალიზს, როგორცაა, აკადემიური კვლევები, ინფორმაციული სტატიები, წიგნები, ონლაინ რესურსები, დოკუმენტების ანალიზი, მეორადი წყაროები და ა.შ. აღებული ქეისის სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზისთვის მივმართავთ თვისებრივ კვლევას.

ამასთანავე, შევეცდებით უკვე არსებული კვლევების შედეგებისა და გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემას. განსაკუთრებით საინტერესოა გვენდოლინ სეისისა და ალის ლოკნერის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები და 2016 წელს „საერთაშორისო და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. ნაშრომი არგუმენტების გასამყარებლად გამოიყენებს სხვა გამოკითხვებსაც, ძირითადად კიევის საერთაშორისო სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს

ცნებების ოპერაციონალიზაცია

ნაციონალური იდენტობა და ნაცია წარმოადგენენ კომპლექსურ წარმონაქმნებს, რომლებიც მოიცავენ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს, როგორცაა: ეთნიკური, კულტურული, ტერიტორიული, ეკონომიკური, და პოლიტიკური კომპონენტები. ისინი განამტკიცებენ საერთო მეხსიერებით, მითებითა და ტრადიციებით გაერთიანებულ საზოგადოებებს შორის არსებულ სოლიდარობას (Smith, 1991, 9). ნაციონალური იდენტობა, ფილიპ შლეზინგერის აზრით, წარმოადგენს კოლექტიური იდენტობის ფორმას. როგორც სხვა კოლექტიური იდენტობის ფორმები, ნაციონალური იდენტობაც რეპრეზენტაციებისა და სოციალური ურთიერთობების დინამიურ სისტემას წარმოადგენს. ეს სისტემა კი დაუსრულებლად შექმნისა და რეკონსტრუქციის პროცესშია (Schlesinger, 1987). ამიტომაც, ნაციონალური იდენტობა ადამიანებისა და სახელმწიფოებისთვის უმნიშვნელოვანეს ცნებას წარმოადგენს.

ნაციონალიზმის განსაზღვრა სხვადასხვანაირად შეიძლება. ნაციონალიზმი შეიძლება იყოს ეროვნული გრძნობების სინონიმი, ზოგჯერ ეროვნულ მოძრაობას აღნიშნავდეს, ზოგჯერ კი იდეოლოგიას (დავითაშვილი, 2003, 45). მოცემულ ნაშრომში ნაციონალიზმის ცნებაში იგულისხმება მისი ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობა. კერძოდ, „ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა“ (დავითაშვილი, 2003, 46). ამასთანავე, უნდა გავიაზროთ რომ, როგორც აპელბაუმი იტყოდა ნაციონალიზმი ფუნდამენტურად ემოციური ხასიათისაა. ნაციონალიზმის დანერგვა შესაძლებელია ბავშვებისთვის მისი სწავლებითა თუ საზოგადოებრივ ღონისძიებებზე მისი კულტივირებით. ასეთ შემთხვევაში, ნაციონალიზმი გვამღევს სტიმულს ჩვენი ქვეყნების გაუმჯობესებისთვის ვიღწვოდეთ (Applebaum, 2014, 14).

უკრაინული ნაციონალური იდენტობის ნარატივები

უკრაინული ნაციონალური იდენტობის ნარატივების ტიპოლოგიის შედგენა სხვადასხვანაირადაა შესაძლებელი. მაგალითად, კუზიო გამოყოფს ეთნიკურ უკრაინულსა და აღმოსავლეთ სლავურ ნარატივებს, კოროსტელინა საუბრობს ორმაგი იდენტობის, პრო-საბჭოთა, უკრაინული იდენტობისა და მულტიკულტურულ-სამოქალაქო ნაციონალური იდენტობის ნარატივებზე (Kuzio, 2015; Korostelina, 2013). მოცემული კვლევის ფარგლებში გამოიყენება კირიუხინის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგია, რომელიც გამოყოფს პან-სლავურ, უკრაინულ ეთნო-კულტურულსა და „პატარა რუსების“ იდენტობის ნარატივს. თუმცა, ნაშრომში მიიჩნევა, რომ მოცემული ნაციონალური იდენტობის ნარატივების დაჯგუფება მიზანშეწონილია უფრო ფართო იდენტობის ჩარჩოს ფარგლებში.

კერძოდ, ნაშრომში სადაც წერია პრო-რუსული ნაციონალური იდენტობის ნარატივი, მიიჩნევა „პატარა რუსების“ ნარატივი. ხოლო, სადაც საუბარი პრო-დასავლურ ნაციონალურ ნარტივზე მიიჩნევა, რომ საქმე ეხება უკრაინულ ეთნო-კულტურულ ნარატივს. ვინაიდან, პან-სლავური ნარატივი თავისთავად უფრო ფართოა ვიდრე ხსენებული ორი ნარატივი მისი დაჯგუფება პრო-რუსულ ან პრო-დასავლურ იდენტობის ნარატივებში არ ხდება და იგი მიჩნეულია შედარებით ნეიტრალურ ნარატივად.

„პატარა რუსების“ ნარატივი ნაშრომის ფარგლებში დაუკავშირდა პრო-რუსულ ნარატივს, ვინაიდან იმპერიალისტური რუსული იდენტობის რეკონსტრუირება ვერ იქნება წარმატებული უკრაინის, როგორც „პატარა რუსეთის“ წარმოჩენის გარეშე. ვინაიდან „პატარა რუსეთი“ და კიევი უდიდეს როლს თამაშობდა რუსეთის იმპერიის მშენებლობაში (Kravchenko, 2015, 7). ხოლო, უკრაინული ეთნო-კულტურული ნარატივი თავისი ბუნებით პრო-დასავლურია, ვინაიდან მისთვის რუსეთი აღიქმება, როგორც მთავარი „სხვა“, ამ იდენტობის მატარებლები მკაცრად ემიჯნებიან ყოველივე რუსულს და ისწრაფვიან დასავლეთში ინტეგრაციისაკენ.

თეორიული ჭრილი

მოცემული ნაშრომი იყენებს მოდერნიზმს, როგორც მიმართულების მომცემ თეორიას. მოდერნიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ თეორიას ნაციონალიზმის თეორიებიდან, რომელიც მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმი არ არის პრიმორდიალური და ვერ იარსებებდა კონკრეტულ პერიოდამდე.

მოდერნიზმის ძირითადი არსი გამოიხატება თეზისით, რომ ერები და ნაციონალიზმი ახალი ფენომენია და მათი ისტორია მხოლოდ უკანასკნელი ორი საუკუნით შემოიფარგლება. ერები და შესაბამისად ნაციონალიზმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩნდება და ისინი თანამედროვე ეპოქის ისეთივე პროდუქტია, როგორც კაპიტალიზმი, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, სეკულარიზმი და ა.შ. (დავითაშვილი, 2003) ამასთანავე, მოდერნიზმში გამოიყოფა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციო-კულტურული მიდგომები. მოცემული კვლევის შემთხვევაში საინტერესოა მოდერნიზმის პოლიტიკურ-იდეოლოგიური თეორია.

მოდერნიზმის პოლიტიკურ-იდეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი პოლ ბრასი კრიტიკულია პერენიალიზმის მიმართ და ამტკიცებს, რომ ეთნიკურობა და ნაციონალიზმი თანამედროვეობის პროდუქტია. უფრო მეტიც, ის ხაზს უსვამს მათ კონსტრუირებულ ხასიათს. მისი აზრით, კულტურები ჩამოყალიბებულია ელიტების მიერ, რომლებიც იყენებენ ნედლ მასალას განსხვავებული ჯგუფებისაგან, რათა შექმნან ეთნიე და ერები. ამ რეპრეზენტაციების გამოყენებით ელიტები უმიზნებენ თავიანთი ეკონომიკური ან პოლიტიკური უპირატესობების უზრუნველყოფას. (Llobera, 1999)

მკვლევარი სტეფან ვან ევერა ნაციონალიზმს განსაზღვრავს პოლიტიკურ მოძრაობად, რომელსაც ორი მახასიათებელი გააჩნია: 1. ინდივიდუალური წევრები თავიანთ ლოიალურობას, უპირველეს ყოვლისა, ანიჭებენ მათსავე ეთნიკურ, ან ნაციონალურ ჯგუფს, რომელიც ეფუძვნება საერთო ნათესაურ წარმომავლობას, ან პოლიტიკურ იდეოლოგიას; და 2. ამ ეთნიკურ, ან ნაციონალურ საზოგადოებებს სურთ გააჩნდეთ

თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფო (Evera, 1994, 6). პრობლემა ისაა, რომ სეპარატისტები თავიანთ ლოალობას არ იჩენენ უკრაინის სახელმწიფოს მიმართ. დღეს უკვე კონფლიქტში ჩაბმული ადმოსავლეთ უკრაინის რეგიონები უკვე დიდი ხანია რუსეთისადმი უფრო მეტი ლოიალობით გამოირჩეოდნენ და რუსულ პოლიტიკურ იდეოლოგიებთან მეტ საერთოს ნახულობდნენ, ვიდრე უკრაინულთან. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ისინი დამოუკიდებელი უკრაინის შექმნის დღიდან არჩევნებზე მხარს უჭერდნენ პრო-რუს პოლიტიკოსებს.

მაგალითად, 2004 წლის არჩევნებში დონეცკში, ლუჰანსკსა და ყირიმში მცხოვრები რუსები და რუსულად მოსაუბრეები მხარს უჭერდნენ ვიქტორ იანუკოვიჩს (Petro, 2016, 19). საერთო ჯამში, სახეზეა შესამჩნევად სტაბილური ხმის მიცემის ჩვეულება, რომელიც მომდინარეობს 1994 წლიდან. ხშირად, მეცნიერები ამას საბჭოთა ნოსტალგიას მიაწერენ, თუმცა ეს უფრო კავშირშია დასავლეთ უკრაინის რეგიონებში, როგორცაა გალიცია, პოპულარული ეთნიკური ნაციონალიზმის უარყოფასთან. სეპარატისტული რეგიონებისთვის უკრაინული იდენტობა განუყოფელ კავშირშია რუსულ კულტურასთან, თუ არა რუსულ პოლიტიკასთან (Petro, 2016, 20).

ვან ევერა ნაციონალიზმისა და ომის კაუზალურ ურთიერთობაზე დაყრდნობით გვთავაზობს ცხრა მთავარ და თორმეტ სუბ-ჰიპოთეზას. ეს ჰიპოთეზები გვთავაზობენ ერთგვარ საკონტროლო სიას იმ საფრთხეების შესაფასებლად, რაც შესაძლოა მოყვეს კონკრეტულ ნაციონალურ მოძრაობას, ან ნაციონალიზმის გავრცელებას მოცემულ რეგიონში (Evera, 1994, 7). კერძოდ, ვან ევერა თავის ჰიპოთეზებს აჯგუფებს სტრუქტურულ; პოლიტიკურ და აღქმით ფაქტორებად. სტრუქტურული ფაქტორები გამომდინარეობს სახელმწიფოში არსებული ხალხის გეოგრაფიული და დემოგრაფიული წყობილებიდან. პოლიტიკური ფაქტორები გამომდინარეობს ხალხის მეზობლების წარსულში გატარებულ, ან აწმყოში არსებული ქცევებიდან; ხოლო აღქმითი ფაქტორები სათავეს იღებენ ნაციონალური მოძრაობის თვითშეფასებისა და მის მიერ „სხვების“ აღქმისგან (Evera, 1994, 16). მოცემული კვლევა დატესტავს აღქმით ფაქტორებში მოთავსებული ჰიპოთეზებიდან ერთ-ერთ ჰიპოთეზას.

აღქმითი ფაქტორის შემთხვევაში ვან ევერას ჰიპოთეზებიდან ერთ-ერთი ამბობს: „რაც უფრო განსხვავებულია ნაციონალისტების წარმოდგენები თავიანთ საერთო ისტორიაზე, მით უფრო დიდია ომის რისკი“ (1994, 9). უკრაინაში მცხოვრები რუსები უკრაინა-რუსეთის საერთო წარსულს განიხილავენ რუსული თვალთახედვით. ისტორიაში კი არსებობს რამდენიმე მომენტი, რომელზეც უკრაინელებსა და რუსებს სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ. პირველ რიგში, ამ კუთხით უნდა განვიხილოთ წარმოდგენები ისტორიულ ფიგურებზე. ნაციონალისტურ ნარატივებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორცაა: ივან მაზეპა, იოსებ სტალინი და სტეფან ბანდერა.

მაზეპას, სტალინისა და ბანდერას პიროვნებები კვლავაც წარმოადგენს წინააღმდეგობრივ ფიგურებს უკრაინულ-რუსულ ნარატივებში. მაშინ როცა შეხედულებები სტალინზე რუსეთში მთლიანად ნეგატიური არაა, უკრაინაში მასზე გაცილებით უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს, ვინაიდან სტალინის მეთაურობით ხდებოდა უკრაინული ნაციონალისტური მოძრაობის დევნა და სწორედ მან ითამაშა დიდი როლი უკრაინელების მასობრივ შიმშილობაში ე.წ ჰოლოდომორში. სამხედრო ლიდერ ივან მაზეპას ჰქონდა მცდელობა პეტრე პირველის წინააღმდეგ შეკვროდა შვედეთს. უკრაინული მხარის მიერ მაზეპა განიხილება უკრაინული თავისუფლების დამცველად, რუსული მხარის მიერ კი მოღალატედ. ხოლო უკრაინელებისთვის ყველაზე სადავო ისტორიულ პიროვნებას წარმოადგენს სტეფან ბანდერა, ვისაც ხშირად ფაშისტად მოიხსენიებენ. ის გახდა უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაციის (უნო) სიმბოლო. იგი წარმართავდა იატაკქვეშა უკრაინულ არმიას, რომელიც იბრძოდა გერმანელების, ებრაელების, პოლონელებისა და რუსების წინააღმდეგ. ომის განმავლობაში, „უნო“-ში არსებობდა შიდა დაპირისპირება იმაზე ეთანამშრომლათ თუ არა ნაცისტებთან იმისათვის, რომ შეექმნათ უკრაინული სახელმწიფო. თუმცა, თავდაპირველად მაინც, გერმანელებს, როგორც განმათავისუფლებლებს, მიესალმებოდნენ დასავლეთ უკრაინაში (Smoor, 2017, 80-81).

ნარატივებზე დასკვნების გამოტანა შესაძლებელია ისტორიული ფიგურებისადმი უკრაინელების დამოკიდებულებების შეფასებითაც. კერძოდ, ომის შემდეგ განსხვავებულად უყურებენ ისტორიულ ფიგურებს, რომლებიც დიდი ხანია

ორაზროვან წარმოდგენებს ქმნიდნენ. განსაკუთრებით საინტერესოა სტეფან ბანდერასადმი დამოკიდებულების ცვლილება.

		პოზიტიური		შედარებით პოზიტიური		შედარებით ნეგატიური		ნეგატიური		არ სმენიათ ასეთ პიროვნებაზე		რთულია თქმა	
		2012	2014	2012	2014	2012	2014	2012	2014	2012	2014	2012	2014
ბანდერასადმი დამოკიდებულება	უკრაინა	11.3	16.4	13.2	16.2	16.4	15.5	36.4	26.3	3.7	3.2	19.0	22.3
	დასავლეთი ცენტრი	35.5	52.4	27.2	22.5	11.8	4.3	11.2	3.3	0.5	1.2	13.8	16.3
	აღმოსავლეთი ცენტრი	8.2	11.8	15.7	22.1	16.6	14.1	25.3	2.4	3.4	2.0	30.8	37.6
	დონბასი	2.6	4.4	6.2	12.6	18.5	22.8	50.6	39.1	5.8	6.6	16.2	14.5
სტალინისადმი დამოკიდებულება	უკრაინა	5.1	2.4	6.7	2.4	20.9	19.9	57.1	61.4	3.8	2.1	7.3	11.7
	დასავლეთი ცენტრი	7.3	6.5	20.7	16.9	22.6	23.2	33.1	38.4	0.6	0.5	15.6	14.4
	აღმოსავლეთი ცენტრი	2.5	0.2	9.3	2.9	20.6	11.0	58.0	79.0	0.5	1.7	9.0	5.2
	დონბასი	5.6	2.7	17.5	8.2	25.6	31.4	32.9	37.4	0.8	0.4	17.5	19.8
სტალინისადმი დამოკიდებულება	აღმოსავლეთი ცენტრი	5.8	8.2	29.1	30.5	19.8	22.3	25.7	26.1	1.1	0.2	18.5	12.8
	დონბასი	18.0	19.6	28.2	29.2	23.1	22.9	16.1	10.5	0	0	14.6	17.8

წყარო: კიევის საერთაშორისო სოციოლოგიის ინსტიტუტი, თებერვალი 2012 და სექტემბერი 2014

ცხრილი 1. დამოკიდებულება სტალინისა და ბანდერასადმი

პირველი ცხრილის შესაბამისად, მაშინ როცა 2012 წელს ბანდერასადმი დამოკიდებულება თითქმის ისეთივე ნეგატიური იყო, როგორც სტალინისადმი (53 პროცენტი იყო ჯამში ნეგატიურ და შედარებით ნეგატიურ დამოკიდებულებაზე ბანდერასადმი, მაშინ როცა სტალინისადმი იყო ჯამში 56 პროცენტი) 2014 წლისთვის გაცილებით ნაკლებად ნეგატიურისკენ გადაიხარა ბანდერასადმი დამოკიდებულება (42 პროცენტი 62 თან შედარებით). ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მხოლოდ დონბასში გვაქვს საწინააღმდეგო სურათი. აქ ბანდერასადმი დამოკიდებულება უფრო კრიტიკული გახდა, ხოლო სტალინისადმი შეხედულებები ნაკლებად ნეგატიური (Kulyk, 2016. 605). ვინაიდან, უკრაინაში სტეფან ბანდერას, როგორც უკრაინული ნაციონალიზმისთვის მებრძოლის გადაფასება ხდება მასზე უარყოფითი დამოკიდებულების შემცირებაც მიუთითებს უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივის გაძლიერებაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

დრაგნევასა და ვოლჩუკის აზრით, ევრომაიდნის დროს მოსახლეობა ჩაერთო უკრაინისთვის ბრძოლაში, რომელსაც უკრაინელებისთვის უნდა მოეპოვებინათ თავისუფალი არჩევანის უფლება „ევროპულ გზასა“ და „პუტინის გზას შორის“ (2015, 126). შესაბამისად, ეს ბრძოლა გულისხმობს უკრაინელების მიერ პრო-დასავლურსა და პრო-რუსულ ნაციონალურ იდენტობას შორის გასაკეთებელ არჩევანს.

ამასთანავე, რუსეთიცა და უკრაინაც ამჟამად გადიან შემდეგი ნაციონალური მობილიზაციის საფეხურს ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, რომელიც საერთო სიმბოლურ სივრცეში მიმდინარეობს (Kravchenko, 2015, 5).

მკვლევარი ტარას კუზიო სტატიაში „კონკურენტი ნაციონალიზმები, ევრომაიდან და რუსულ-უკრაინული კონფლიქტი“ იკვლევს ძალადობის წყაროებს ევრომაიდნამდე და მის შემდეგ. ის ამტკიცებს, რომ შიდა და გარე ფაქტორები ცდილობდნენ შეეცვალათ უკრაინაში რუსულად მოსაუბრეთა დინამიკა. რაც გამოიხატა იმაში, რომ 1980-ანი წლებიდან 2004 წლის ნარინჯისფერ რევოლუციამდე არსებობდა პასიური დამოკიდებულება, რომელიც 2005-2013 წლებში მცირე მობილიზაციამდე დავიდა. ხოლო, 2014 წლიდან გადაიზარდა მაღალ მობილიზაციად, მოხდა პრო-უკრაინული და ანტი-უკრაინული ბანაკების კრისტალიზაცია (Kuzio, 2015). ომის პირობებში განსაკუთრებით ადვილია ხალხის დაყოფა პოლარიზებულ ბანაკებად. ასეთ სიტუაციაში ადვილად წარმოიქმნება ე.წ „იდეების ბაზარი“ სნაიდერისა და ბალენტაინის თეორიის მიხედვით „იდეების ბაზარი“ არის სივცე, სადაც ელიტები ცდილობენ მხარდამჭერების მოზიდვას თავიანთი იდეების მართებულობაში მათი დარწმუნებითა და ამ მართებულობის გასამყარებელი მითების შექმნით. იყენებენ ნაციონალისტურ აგიტაციასა და პროპაგანდას მასობრივი ნაციონალისტური მოძრაობის წარმოსაქმნელად. ხალხი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მომხმარებელს, რომელიც ირჩევს ბაზარზე არსებული იდეებიდან მისთვის მისაღებ ვარიანტს. ელიტები

ზრუნავენ, რომ მათ მიერ შეთავაზებული იდეები დამაჯერებელი არგუმენტებით გაამყარონ. ბაზრის სეგმენტაცია ახლად დემოკრატიზირებულ სახელმწიფოებში ზოგჯერ მიყვება ენობრივ საზღვრებს. ამ შემთხვევაში მომხმარებლები, რომლებსაც მსგავსი ტენდენციები გააჩნიათ იზოლირებულები არიან განცალკევებულ საბაზრო სეგმენტებში, რომლებსაც ერთი, დომინანტი მიმწოდებელი ყავს (Snyder & Ballentine, 1996, 61-81). ყოველივე ზემოთთქმულის უკრაინის მაგალითზე გადმოტანით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკრაინაში არსებულ „იდეების ბაზარზე“ ელიტები ერთმანეთს, ხალხის მხარდაჭერის მოსაზიდად, ეჯიბრებიან „პრო-რუსული“ და „პრო-ევროპული“ ვექტორის გარშემო წარმოებული ნარატივებისა და მითების მეშვეობით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული რეგიონები ცალკე საბაზრო სეგმენტს წარმოადგენენ, სადაც პრო-რუსი სეპარატისტები იკვებებიან მონოპოლიზებული ბაზრის იდეებით, რომელსაც მხოლოდ ერთი მიმწოდებელი- რუსეთი, ჰყავს.

ნაციონალურ იდენტობასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ენის ფაქტორი. „ენის საკითხი“ სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების ისტორიაში და აგრეთვე უკრაინული ნაციის მშენებლობის ხანგრძლივ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული ენა განიცდიდა სხვა ერების კულტურულ და ლინგვისტურ გავლენებს (ძირითადად პოლონურსა და გერმანულს) ისტორიულმა, სოციალურმა, გეოპოლიტიკურმა და ლინგვისტურმა ფაქტორებმა მისი ურთიერთობა რუსულთან ყველაზე პრობლემატური გახადა (Zhurzhenko, 2002).

ჯერ კიდევ 2002 წელს მკვლევარი ტატიანა ჟურჟენკო ცდილობდა გამოეკვლია ენის მნიშვნელობა უკრაინული იდენტობის ფორმაციისთვის. ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უკრაინული მოსახლეობის უმრავლესობისათვის ენა არაა მთავარი ფაქტორი ნაციონალურ იდენტობაში და ეს სიტუაცია შეიძლება მივიჩნიოთ ხელისშემწყობად სამოქალაქო ნაციონალიზმის მშენებლობისთვის. უკრაინული ენისგან გაუცხოებას იგი მიაწერს მმართველი ელიტების უუნარობას მოეხდინათ კორუფციის, სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირისა, თუ პოლიტიკური სკანდალების აღმოფხვრა (Zhurzhenko, 2002).

მკვლევარის, ტარას კუზიოს აზრით, ევრომაიდანამდე ნაციონალისტური მობილიზაცია უკრაინაში შემოიფარგლებოდა უკრაინულ ენაზე მოსაუბრეებით, ხოლო მოსახლეობის რუსულად მოსაუბრეთა ნაწილი პასიურობდა. დასავლეთ უკრაინელები წინ უძღოდნენ საბჭოთა რეჟიმის საწინააღმდეგო მოძრაობებს 80-90-იან წლებში; 2000-2001 წლებში აპროტესტებდნენ პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ქმედებებს, რომელიც ამ პერიოდში დადანიშნულებული იყო ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში; ასევე ძლიერი იყო მათი მობილიზაცია 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციისა და 2013-14 წლის ევრომაიდანში. რაც შეეხება უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში მცხოვრებებს, კუზიო მიიჩნევს, რომ მათი ეთნო-კულტურული რესურსები არასაკმარისად მძლავრი იყო მობილიზაციისთვის და ეს სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც მათზე ოთხმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ იმოქმედა. პირველი, რამაც დიდი გავლენა იქონია იყო რუსული ნაციონალიზმის ეთნოკულტურისკენ მიბრუნება. კერძოდ, რუსეთმა უფრო აქტიურად დაუჭირა მხარი რუსულად მოსაუბრეთა მოძრაობებს მეზობელ ქვეყნებში. ამას დაერთო ევრაზიანისტული იდეოლოგიის მატარებელთა პოპულარობა, განსაკუთრებით ალექსანდრ დუგინის შეხედულებები გახდა გავლენიანი. მეორე მხრივ, რუსეთმა კვლავ ირწმუნა საბჭოთა კავშირში გავრცელებული შეხედულებასა, რომლის მიხედვითაც, სერბული (2000 წლის), საქართველოს (2003 წლის) და უკრაინის (2004 და 2014 წლის) დემოკრატიული რევოლუციები დასავლეთის მიერ „მოწყობილი და დაფინანსებული“ მოძრაობები იყო და მიზნად ისახავდნენ რუსეთის დასუსტებას. და ბოლოს, რუსეთმა „რუსული სამყაროს“ იდეაში ინვესტირება დაიწყო. „რუსულმა სამყარომ“ ჯგუფური იდენტობა უნდა შესთავაზოს რუსულად მოსაუბრეებსა და იმ ხალხს, ვინც თავს მიიჩნევს რუსული კულტურისა და ენის ნაწილად. „რუსული სამყარო“ საბჭოთა წარსულის მითოლოგიზებასაც ახდენს და ერთგვარ რუსული და საბჭოთა იდენტობის ნაზავს ქმნის. მეოთხე მოვლენაა ის, რომ რუსეთმა ე.წ სპეციალურ სამხედრო ძალებში ჩადო თავისი ინვესტიცია, რომელთა საშუალებითაც სამხედრო ინტერვენციები აწარმოა საქართველოში 2008 წელს და ევრომაიდანში (Kuzio, 2015,158-159).

უკრაინის ზოგადი დახასიათება

უკრაინა მულტიკულტურულ სახელმწიფოს, ეთნიკურად და ენობრივად განსხვავებული ხალხების ერთობლიობას წარმოადგენს. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 22 პროცენტს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ. მათ შორის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან ეთნიკურად რუსები, რომლებიც უკრაინის მოსახლეობის ჩვიდმეტ პროცენტს იკავებენ. ეთნიკური რუსები უკრაინის ტერიტორიის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში სახლობენ. ცხრილი 1-ზე წარმოდგენილია 2001 წლის მონაცემები, რომელიც ასახავს უკრაინის ეთნიკურ შემადგენლობას:

ეთნოსი	პროცენტული რაოდენობა
უკრაინელები	77, 8 %
რუსები	17,3 %
ბელორუსები	0,6 %
მოლდოველები	0,5 %
ყირიმელი თათრები	0,5 %
ბულგარელები	0,4 %
უნგრელები	0,3 %
რუმინელები	0,3 %
პოლონელები	0,3 %
ებრაელები	0,2 %
სხვა	1,8 %

ცხრილი 2: უკრაინის ეთნიკური შემადგენლობა (2001 წლის მონაცემებით) (CIA,2018)

ენები	პროცენტული რაოდენობა
-------	----------------------

უკრაინული	67, 5%
რუსული	29,6 %
სხვა (ძირითადად მოლდოვური, რუმინული, უნგრული)	2,9 %

ცხრილი 3: უკრაინის ენობრივი დაყოფის პროცენტული მაჩვენებლები (2001 წლის მონაცემები) (CIA, 2018)

ზემოთწარმოდგენილი ეთნიკური სურათის გამო, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე, უკრაინის საზრუნავი გახდა ისეთი ნაციონალური იდენტობის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა ეთნიკურად განსხვავებულ მოსახლეობასა და რეგიონებს.

ეთნიკური სხვადასხვაობა უკრაინაში საუკუნოვანი იმპერიული დაპირისპირებების ქვეშ ცხოვრებამაც განაპირობა. უკრაინას უწევდა იმპერიული რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის და ლიტვა-პოლონეთის თანამეგობრობის შემადგენლობაში ყოფნა. ხოლო იმის გამო, რომ ქვეყნის სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილი ძირითადად რუსეთის შემადგენლობაში ექცეოდა, იქ მცხოვრებ უკრაინელებსა თუ ეთნიკურად რუსებს, ჩამოუყალიბდათ ძალიან ახლო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან. უკრაინის დასავლეთი ნაწილი კი ძირითადად ავსტრიელების გავლენის ქვეშ ექცეოდა.

ისტორიკოს პოლ რობერტ მაგოჩის აზრით, უკრაინული ტერიტორია შეიძლება განისაზღვროს ორნაირად: პირველი ესაა, უკრაინის სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც მეოცე საუკუნეში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ჩამოყალიბდა. ხოლო, მეორეა, უკრაინული ეთნოლინგვისტური ტერიტორია.

ეთნოლინგვისტურ ჯგუფად იგი მიიჩნევს ხალხის იმ ერთობლიობას, რომელიც ერთ ენაზე მეტყველებს (აქ შედიან ისინიც, რომლებიც ამ ენის სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ) და ფლობს საერთო ეთნოგრაფიულ მახასიათებლებს. ამ განმარტების შესაბამისად, უკრაინული ეთნოლინგვისტური ტერიტორია მოიცავს ადგილებს, სადაც ეთნიკურად უკრაინელები ცხოვრობენ, ისინი კი შეიძლება ცხოვრობდნენ, როგორც უკრაინული სახელმწიფოს შიგნით, ასევე მის გარეთაც. უკრაინული

ეთნოლინგვისტური საზღვრები არ ემთხვევა უკრაინის სახელმწიფოს საზღვარს. ამით უკრაინა სხვა ბევრ სახელმწიფოს ჰგავს, რომელთაც ხშირად აქვთ 1. დომინანტი ეთნოლინგვისტური ჯგუფი, ასევე ცნობილი, როგორც ტიტულარული ნაცია 2. ერთი, ან რამოდენიმე ეთნოლინგვისტური ჯგუფი, რომლებიც განსხვავდებიან ტიტულარული და ხშირ შემთხვევაში რაოდენობრივად დომინანტი ნაციისგან. მაგოჩი გეოგრაფიულ მახასიათებლებზეც საუბრობს და დასძენს, რომ გეოგრაფიული გარემო, როგორც უკრაინული სახელმწიფოსთვის, ისე ეთნოლინგვისტურად უკრაინელებით დასახლებული ტერიტორიებისთვის კომპლექსური არაა. თითქმის მთლიანი ტერიტორია ვაკეებსა და პლატოებს უკავია, რომელთა სიმაღლეც იშვიათად თუ აღემატება ზღვის დონიდან 500 მეტრს. უკრაინის მონოტონური გეოგრაფიული გარემოს გამო უკრაინელმა გეოგრაფმა სტეფან რუდნითსკიმ მეოცე საუკუნის დასაწყისში თქვა, რომ „უკრაინელების ცხრა მეათედს არ უხილავს მთები და არც კი იციან თუ როგორ გამოიყურება ისინი“ (Magocsi, 2010, 3)

რაც შეეხება რელიგიას, უკრაინის რელიგიური იდენტობა კიევის რუსეთისა და პრინცი ვოლოდიმირის 988 წლის გაქრისტიანების დროიდან ბიზანტიურ, იგივე მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რწმენას ეფუძვნება. შესაბამისად შეიქმნა კიევის მეტროპოლია, რომელიც 1686 წელს არალეგალურად მოსკოვის პატრიარქატის მმართველობის ქვეშ მოექცა. უკრაინის დამოუკიდებლობასთან ერთად 1991 წლისთვის, გამოიყო უკრაინაში არსებული ოთხი ყველაზე ძლიერი რელიგიური ინსტიტუტი, ესენია: უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია კიევის პატრიარქატით, უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია მოსკოვის პატრიარქატით, უკრაინული მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია და 1596 წელს შექმნილი უკრაინული ბერძნულ კათოლიკური ეკლესია (Hrynkiw, 2013, 92).

შესაბამისად, უკრაინაში ორი ძლიერი რელიგიური მიმდინარეობა გამოიყოფა. ესენია, მართლმადიდებლური და ბერძნულ-კათოლიკური რელიგია. მართლმადიდებლურში შედიან ზემოთნახსენები უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია კიევის პატრიარქატით, უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია მოსკოვის პატრიარქატით და უკრაინული მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია. თუმცა უკრაინაში

სხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხიც ცხოვრობს, ესენია: პროტესტანტული, რომაულ-კათოლიკური, მუსლიმური, ებრაული, თუ სხვა რელიგიის მიმდევრები.

2013 წლის მინაცემებით, უკრაინული მოსახლეობის ორი მესამედი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელია, თუმცა ბევრი არ აკონკრეტებს, თუ რომელ რელიგიურ ინსტიტუტს მიაკუთვნებს თავს. უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის მიმდევრების პროცენტული რაოდენობა დაახლოებით 8-10 პროცენტია. ხოლო, ისლამისა და იუდაიზმის წარმომადგენლები ცალ-ცალკე მთლიანი მოსახლეობის 1%-ს შეადგენენ (CIA,2018).

მცირე ისტორიული მიმოხილვა

უკრაინის რუსეთის იმპერიაში შეერთება მოხდა 1654 წლიდან, როდესაც ბოჰდან ხმელნიცკის მიერ მოსკოვთან დადებული სამხედრო მფარველობითი შეთანხმება მოგვიანებით რუსების მიერ ინტერპრეტირდა როგორც ნებაყოფლობითი „გაერთიანება“. შედეგად, დღევანდელი უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი მოექცა რუსეთის შემადგენლობის ქვეშ. ეს იძულებითი მიერთება რამოდენიმეჯერ გახდა აჯანყებების საბაზი მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, ასევე ამან სათავე დაუდო 18-20 საუკუნეების ნაციონალურ ლიტერატურას. ხსენებული ლიტერატურა ეხმარებოდა უკრაინელებს იმპერიული მმართველობის ქვეშ არ დავიწყებოდათ საკუთარი ნაციონალური წარმომავლობისა და კულტურის არსებობა. რუსეთის მხრიდან კი ყოველთვის იყო ძლიერი წინააღმდეგობა უკრაინელების დამოუკიდებლად განვითარების რაიმე შესაძლებლობაზე. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისაა, რომ რუსული ნაციონალისტური მითოლოგია თავის ისტორიას აკავშირებს „კიევის რუსეთთან“ (Hrynkiw, 2013, 64-65). რუსეთისა და უკრაინის, როგორც განსხვავებული ხალხების წარმოდგენის შემთხვევაში ინგრევა „კიევის რუსეთის“, როგორც რუსული წარმონაქმნის იდეაც.

მსგავსი დაქვემდებარებული პოლიტიკური მდგომარეობა დანარჩენ უკრაინულ ტერიტორიებს ჰქონდათ პოლონელების, მოგვიანებით კი ავსტრო-უნგრელების ქვეშ (1772-1918 წლებში). სხვა უფრო მცირე სეგმენტები სხვადასხვა დროს შედიოდა რუმინეთის, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში, მათი ხელახალი გაერთიანება უკრაინასთან მოხდა მხოლოდ საბჭოთა მმართველობის პერიოდში.

მეცხრამეტე საუკუნეში მთელი ევროპის მამტაბით მოხდა ნაციონალიზმის აყვავება. არც უკრაინა იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მეცხრამეტე საუკუნეში მოხდა ინტელექტუალებისა და ინტელიგენციის რიცხვის მსოფლიო მამტაბით ზრდა. უკრაინაში მათთან ერთად გაიზარდა ნაციაზე წარმოდგენაც.

ნაციონალური თვითშეგნების განვითარების ეტაპები განსხვავდება ყოველი საზოგადოებისთვის. თანამედროვე მკვლევარებმა კი სამი ზოგადი ეტაპი გამოიყვეს აღმოსავლეთ ევროპული ნაციონალურ მოძრაობებში. საწყისი ფაზა, რომელსაც ნოსტალგიური ხასიათი გამოარჩევს, ზოგადად შედგება ინტელექტუალების პატარა ჯგუფისგან, რომელიც აგროვებენ ისტორიულ დოკუმენტებს, ფოლკლორსა თუ არტეფაქტებს თავიანთი ხალხის ინდივიდუალურობის გამოსაკვეთად, რომელსაც იმპერიული მმართველობის ქვეშ გაქრობა ემუქრება. მეორეა, ეგრეთწოდებული კულტურული ფაზა, როდესაც ხდება ვერნაკულური ენების „გამოცოცხლება“, მათი როლის ზრდა ლიტერატურასა და საგანმანათლებლო აქტივობებში თვალშისაცემია. ბოლო, მაშასადამე, მესამე ფაზა პოლიტიკურია, აქ საქმე გვაქვს ნაციონალური საკითხით დაინტერესებული ორგანიზაციების ზრდასთან, რომლებიც გამოდიან ნაციონალური ორიენტაციის მქონე მოთხოვნებით, რომელიც ასე თუ ისე ეხება თვითმმართველობის სურვილს. როგორც შემდგომ დავინახავთ უკრაინული ნაციონალური თვითშეგნების ევოლუციაც კარგად ჯდება შემოთავაზებულ მიდგომაში (Subtelny, 2009, 222-223).

უმეტეს შემთხვევაში ინტელიგენცია ქალაქებში აღმოცენდა, განსაკუთრებით იქ, სადაც უმაღლესი განათლების მიღება იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ხარკოვიც, სადაც 1805 წელს რუსების მმართველობის ქვეშ მოქცეული უკრაინის პირველი უნივერსიტეტი დაარსდა, გადაიქცა ადრეული უკრაინული ინტელიგენციის ცენტრად. მხოლოდ 1834 წელს, როდესაც წმინდა ვლადიმირის უნივერსიტეტი შეიქმნა კიევში მოხდა ხარკოვის, როგორც უკრაინის ინტელექტუალური ცენტრის ჩანაცვლება (Subtelny, 2009, 223).

ნაციონალურ თვითშეგნებამდე მიმავალი გზა, უპირველეს ყოვლისა, წიგნებით გაიკაფა. ისინი ასრულებდნენ „საცავების“ როლს, სადაც უკრაინული კულტურის შენახვა ხდებოდა. ამავდროულად ისინი ხელს უწყობდნენ ამ კულტურის გავრცელებას წერაკითხვის მცოდნე უკრაინელებში. უფრო მეტიც, წიგნების წერისას ინტელიგენციამ განავითარა და დახვეწა უკრაინული ენა. ინტელიგენცია ჩაერთო ფოლკლორის „თავყანისცემის“ პროცესში. წარმოიქმნა ინტერესი უკრაინული წესების, ტრადიციებისა და გლეხების სიმღერების მიმართ. ეს მოვლენა ძლიერ განსხვავდებოდა წარსულისაგან,

როცა ელიტები მუდმივად ცდილობდნენ არ შეემცირებინათ უფსკრული მათ კულტურასა და მასების კულტურას შორის. ეს ყოველივე მოყვა ჰერდერის იდეების გავრცელებას, რამაც უკრაინულ ინტელიგენციაში მშობლიური კულტურისადმი ინტერესი გააღვივა. ამასთანავე, მოხდა ნაციონალური ისტორიის ხელახალი შექმნა, რამაც ხელი შეუწყო ნაციის საერთო ბედის არსებობის გააზრებას (Subtelny, 2009, 225).

ამ მხრივ აღსანიშნავია, ამ პერიოდში დაწერილი უკრაინელების ისტორიის წიგნი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა უკრაინელებზე. ეს წიგნია „რუსი ხალხის ისტორია“ დაწერილი 1846 წელს უცნობი ავტორის მიერ. დაუბეჭდავი ფორმით იგი პირველად 1820-იან წლებში გამოჩნდა. ამ წიგნის ფართომასშტაბიან გავრცელებასა და პოპულარობას ალბათ იმან შეუწყო ხელი, რომ ის უფრო პოლიტიკური ტრაქტატი იყო, ვიდრე ისტორიის ჩვეულებრივი სახელმძღვანელო. „რუსი ხალხის ისტორია“ იყო ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც უკრაინას განიხილავდა არა როგორც რუსეთისა თუ პოლონეთის პროვინციას, არამედ დამოუკიდებელ აქტორად, რომელიც კიევის დროიდან მომდინარეობდა. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ უკრაინამ თავის მწვერვალებს მიაღწია კაზაკების ერაში და დაღმასვლა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც მოსკოვიტისა, შემდგომში კი რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა. „რუსი ხალხის ისტორიის“ შესაძლებელი გახადა უკრაინელებს გაეთავისებინათ თავიანთი ეთნოსის ისტორიული განგრძობადობა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ისტორიკოსებზე, პოეტებზე, ფოლკლორისტებზე და ენის ენთუზიასტებზე, რომლებიც ნელ-ნელა აქტიურდებოდნენ აღმოცენებულ უკრაინულ ნაციონალურ გამოცოცხლებაში. ამ გამოცოცხლებას ხელს უწყობდა მეცხრამეტე საუკუნეში გავრცელებული მოსაზრებაც, რომ ხალხია ისტორიის მამოძრავებელი წყარო. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით პოპულისტ ავტორები ცდილობდნენ წინ წამოეწიათ უკრაინელი ეთნოსის გამორჩეულობა და განსხვავებულობა რუსი, თუ პოლონელი ერებისგან (Magocsi, 2010, 19).

უკრაინული ნაციონალიზმის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით უკრაინის დასავლეთ რეგიონებს, განსაკუთრებით გალიციის ისტორულ მხარეს. 1830 წლიდან პირველი მსფლიო ომის პერიოდში ნაციონალიზმის ორი განსხვავებული ნარატივი ეჯიბრებოდა ერთმანეთს გალიციაში. ჯონ-პოლ ჰიმკა ამ ნარატივებს „უკრაინულ“ და

„რუსულ“ ნარატივებად აჯგუფებს. უკრაინული ორიენტაციის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ისინი იმავე ნაციონალიზმის იყვნენ, როგორც უკრაინელები, ან „პატარა რუსები“. რუსული ორიენტაციის მიმდევრები, ან რუსოფილები, არ უარყოფდნენ არსებულ განსხვავებას, მაგრამ მინიმუმამდე დაჰყავდათ ეს განსხვავებები „პატარა რუსებსა“ და „დიდ რუსებს“ შორის და ყველა აღმოსავლეთ სლავი მიაჩნდათ ერთიანი რუსული ნაციონალიზმის ნაწილად (Himka, 2006, 124).

რუკა 1: გალიციის ისტორიული მხარე ასახული უკრაინის დღევანდელ რეგიონებში



წყარო: <https://www.wikiwand.com/fr/Galicie>

რელიგიასთან მიმართებით გალიციელი „უკრაინული“ ნარატივის მომხრეები იღწვოდნენ თავიანთი ბერძნულ კათოლიკური ეკლესიის შენარჩუნებისთვის, რომელიც გამოარჩევდა მათ, როგორც პოლონელების, ისე რუსებისგან. რუსოფილები რელიგიის მხრივ მიიწევდნენ რუსული მართლმადიდებლობისკენ. 1860-1882 წლებში ამ ორმა ნარატივმა ღია ინტელექტუალური ომი გამოუცხადა ერთმანეთს. დასაწყისში რუსოფილები უფრო ძლიერ ბანაკს წარმოადგენდნენ. ამ პერიოდში მათ დაარსეს გაზეთი „slovo“, „კაჩკოვსკის საზოგადოება“, რომელიც მოზარდების განათლების ხელშეწყობაზე ზრუნავდა და „რუსი ქალბატონების საზოგადოება“. რუსოფილების ბანაკის დადმასვლის დაწყება მოჰყვა 1882 წელს, როცა ერთ-ერთმა რუსოფილმა პროპაგანდისტმა მღვდელმა, ივან ნაუმოვიჩმა, მოუწოდა სოფელ ჰნილიჩკის მცხოვრებლებს დაეწერათ პეტიცია მთავრობის სახელზე და მოეთხოვათ მისგან

ნებართვა, რომ მათი რელიგია ბერძნულ-კათოლიკურიდან მართლმადიდებლობაზე შეცვლილიყო. ამან ავსტრია და ვატიკანი შეაშფოთა, მათი მეშვეობით შეიქმნა გარემოება, სადაც რუსოფილებს გაუჭირდათ მოღვაწეობა. მოგვიანებით გალიცია გახდა უკრაინული ნაციონალიზმის მთავარი კერა, შეინარჩუნა უკრაინული თვითშეგნება საბჭოთა პერიოდის განმავლობაში და დამოუკიდებელ უკრაინაში დარჩა ნაციონალიზმის საყრდენად (Himka, 2006, 128-131).

ჰერდერის მიხედვით ენა ეთნიკურობის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ნაციონალური თვითშეგნების განვითარებაში ენა ასრულებს ბუნებრივი გამყოფის როლს. ის განასხვავებს ერთმანეთისგან ადგილობრივსა და უცხოს. თუ გავითვალისწინებთ ენის ცენტრალურ მნიშვნელობას ნაციის მშენებლობის პროცესში, ადვილი გასაგებია ის, რომ მხოლოდ დროის საკითხი იყო უკრაინული ინტელიგენციის მიერ ვერნაკულური ენის (სალაპარაკო ენა ჩვეულებრივი ადამიანებისთვის) ყველა უკრაინელისთვის გაზიარება მოხდებოდა. მხოლოდ ასე შეიძლებოდა ელიტისა და მასების დაახლოება მომხდარიყო. თუმცა უკრაინულს უწევდა კონკურენცია გაეწია „პრესტიჟული“ ენებისთვის, როგორც იყო გერმანული, ფრანგული, თუ რუსული (Subtelny, 2009, 229).

პირველი მოკლევხნიანი დამოუკიდებლობის პერიოდი უკრაინელებს მეოცე საუკუნის დასაწყისში დაუდგათ, კერძოდ 1918-21 წლებში. დამოუკიდებლობის ამ მცირე მონაკვეთშიც უკრაინელები შეთანხმებულად არ მოქმედებდნენ. იმის გამო, რომ არსებობდა შიდა შეუთანხმებლობა რესეთთან და დასალეთთან ურთიერთობის ფორმებზე, ასევე შიდა განვითარებაზე, ხოლო რუსეთიდან კი ზეწოლა მუდმივად მოდიოდა, უკრაინელებმა ვერ შეძლეს ფუნქციონირებადი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნათ. უკრაინელმა ნაციონალისტებმა ამ მოკლევხნიან პერიოდში სამი მცირეხნიანი მთავრობა ჩამოაყალიბეს: უკრაინელი ხალხის რესპუბლიკა (1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის აპრილამდე), ჰატმანატი (აპრილიდან 1918 წლის დეკემბრამდე) და დირექტორატი (1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის დეკემბრამდე). ცენტრალური რადა ჰატმანატმა 1918 წლის აპრილში გერმანიის დახმარებით გადააგდო მმართველობიდან. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი ჰატმანატის პერიოდში საკმაოდ დამაიმედებელი წარიმართა, რაც იმის დამსახურებაც იყო, რომ

რამოდენიმე ქვეყანამ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა აღიარა. დამოუკიდებლობის ამ მოკლე ინტერვალს მალევე მოჰყვა საბჭოთა კავშირის მიერ უკრაინის იძულებითი გაწევრიანება ახლადწარმოქმნილ იმპერიაში. უკრაინის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი სსრკ-ში აღმოჩნდა, თუმცა დასავლეთ უკრაინის რაღაც ნაწილი პოლონეთში, ბუკოვინა რუმინეთში, ტრანსკარპატია კი ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში მოექცა. ყველა ამ ტერიტორიაზე არსებობდა განსხვავებული უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაციები, რომლებიც იბრძოდნენ თვითმმართველობისთვის, მათი უფრო ფართო მიზანი კი ერთიანი უკრაინის წარმოქმნა იყო. საბჭოთა კავშირში არსებული ტოტალიტარული რეჟიმის გამო შეუძლებელი იყო უკრაინელებს კანონის ფარგლებში ებრძოლათ დამოუკიდებლობისთვის, ამიტომ გავრცელდა იატაკქვეშა დაჯგუფებები, სადაც უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია აქტიურად მოღვაწეობდა (Hrynkiw, 2013, 64-68).

საბჭოთა კავშირის პირობებში უკრაინელებმა უამრავი დაბრკოლება გადაიტანეს, მათ შორის აღსანიშნავია შიმშილობები, რომლებმაც 1921-22 და 1932-33 წლებში დაახლოებით 8 მილიონი უკრაინელი იმსხვერპლა.

1990 წლის 16 ივლისს ახალმა პარლამენტმა მიიღო უკრაინის სუვერენიტეტის დეკლარაცია. ხოლო დამოუკიდებლობა საბოლოოდ 1991 წლის 24 აგვისტოს გამოცხადდა. რეფერენდუმი და პირველი საპრეზიდენტო არჩევნები 1991 წლის პირველი დეკემბრისთვის დაიგეგმა, ხსენებული არჩევნებით უკრაინის პირველი პრეზიდენტის თანამდებობა ლეონიდ კრავჩუკმა დაიკავა.

თანამედროვე უკრაინისთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს 2004 წლის „ნარინჯისფერი რევოლუცია“. მოსახლეობამ გააპროტესტა არჩევნებში პრემიერ-მინისტრის გამარჯვება და აქციაზე ოპოზიციის კანდიდატის ვიქტორ იუშენკოს მხარდასაჭერად გამოვიდა.

პერიასლავის შეთანხმების დადებიდან 300 წლის იუბილის აღსანიშნავად, 1954 წელს, ნიკიტა ხრუშოვის გადაწყვეტილებით, ხელი მოეწერა ყირიმის ნახევარკუნძულის რსფსრ-ს შემადგენლობიდან უკრაინული სსრ-ს მმართველობაში გადაცემას. ეს

ყოველივე ემსახურებოდა უკრაინელი და რუსი ნაციების ერთიანობისა და მყარი მეგობრობის ხაზგასმას. ამით რუსეთი თითქოს აცხადებდა, რომ მას არ ეშინოდა დიდი და სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორიის უბრალოდ უკრაინისთვის „ჩუქება“. ვინაიდან, იმ დროისთვის, რუსეთშიც და სხვაგანაც ბევრი მიიჩნევდა, რომ ამ ორის მომავალი უერთიერთგადაჯაჭვული უნდა ყოფილიყო და მათ შორის რაიმე გაუგებრობასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა. მით უმეტეს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ორი ქვეყანა სამხედრო კონფლიქტის დაპირისპირებულ მხარეს აღმოჩნდებოდა (Birg & Vanik, 2015, 3). რუსეთსა და უკრაინას შორის საკმაოდ კარგი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა. 1994 წელს რუსეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ ხელი მოაწერეს „ბუდაპეშტის მემორანდუმს“, რომლის თანახმადაც გარანტირებული უნდა ყოფილიყო უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, სანაცვლოდ კი უკრაინა თმობდა მსოფლიოში სიდიდით მესამე ატომურ შეიარაღებას, რომელიც საბჭოთა კავშირისგან ერგო. ოთხი წლის შემდგომ რუსეთმა და უკრაინამ გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აღიარეს ერთმანეთის საზღვრები და შეთხმდნენ სევასტოპოლის პორტში, შავ ზღვის ფლოტის ოცწლიან განთავსებაზე (Kuzio, 2015, 159). ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა, უბრალო „მეგობრული ჟესტის“ გარდა, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ იყო ხაზგასმა იმისა, რომ რუსეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ყირიმს არ დათმობდა, უკრაინიანად. ამ ფაქტის შემდგომ, ნათელი გახდა, რომ მთლიანი უკრაინა რუსეთის ინტერესების სამუდამო ობიექტი გახდა.

უკრაინული ნაციონალური იდენტობის თანამედროვე გამოწვევები

თანამედროვე უკრაინული ნაციონალური იდენტობის გამოწვევა ისევ და ისევ იდენტობის ნარატივების გადაფასებაშია. უკრაინული იდენტობისთვის „რუსული ნაწილი“ კვლავ წარმოადგენს მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორს ერთიანი და ძლიერი უკრაინული ნაციონალური იდენტობის ფუნქციონირების გზაზე.

კიდევ ერთი წინაღობაა რეგიონალიზმი, რომელიც კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა უკრაინის საბჭოთა კავშირისგან გამოყოფის შემდეგ. უკრაინის შიგნით არსებულმა რუსულმა და სხვა ეთნიკურმა უმცირესობებმა მოითხოვეს მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები. უკრაინის ცენტრალური ხელისუფლებისგან ავტონომიის მოთხოვნით ისინი 1990-იან წლებში გამოვიდნენ. ეს ყველაფერი კი აღიქმებოდა საფრთხედ უკრაინული ერთიანობისთვის (Birg & Vanik, 2015, 5). ამ მხრივ, უკრაინა ჰგავს სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, რომლებიც ამ პერიოდში მეტ-ნაკლებად მსგავსი პრობლემების წინაშე იდგნენ.

უკრაინაში რეგიონალიზმი თავს იჩენს პოლიტიკური ორიენტაციის გახლეჩილი ფორმით. სახეზეა, ერთი მხრივ, პრო-დასავლური დასავლეთ უკრაინა და მეორე მხრივ, პრო-რუსული აღმოსავლეთ უკრაინა.

პოლიტიკური ორიენტაციის გარშემო კონფლიქტი უკრაინაში ჯერ კიდევ 2004 წელს გამწვავდა. უკრაინული იდენტობის პრობლემაც ამ დროს გახდა თვალნათელი. ქვეყანა დადგა რთული არჩევანის წინაშე: ერთი მხრივ უკრაინელებს შეეძლოთ მიჰყოლოდნენ პოლიტიკურ გზას, რომელიც მათ რუსეთისკენ ექაჩებოდა, ან გადაეფასებინათ ისტორია და გაეგრძელებინათ უკრაინული იდენტობის განვითარება რუსული გავლენების გარეშე. პოლიტიკურ სარბიელზეც („იდეების ბაზარზე“) სწორედ ამ ორი გზის ამსახველი კანდიდატურები მოქმედებდნენ საპრეზიდენტო არჩევნებში

გამარჯვებისთვის. ერთი იყო იმ დროისთვის უკრაინის პრემიერ-მინისტრი, პრო-რუსი, ვიქტორ იანუკოვიჩი, ხოლო მეორე, პრო-დასავლური ორიენტაციის მქონე ვიქტორ იუშენკო. იანუკოვიჩი ხშირად ხაზს უსვამდა ისტორიულ კავშირებს „ძმურ“ ნაციებს შორის. იუშენკო კი მხარს უჭერდა უკრაინის თანდათანობით ევროკავშირში გაწევრიანებას. 2004 წლის მოვლენები უკრაინელებისთვის გარდამტეხი ისტორიული პროცესის ერთგვარი დასაწყისი გახდა. სწორედ ამ დროიდან იწყება უკრაინელებში თვითაღქმის კრიტიკული ხედვა - უკრაინელების, როგორც ხალხის. უკრაინის წინაშე დადგა საკითხი, რომელზეც ყველასთვის მისაღები პასუხის გაცემა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. კერძოდ, მათ უნდა აეღოთ უფრო რისკიანი, თუმცა ამავდროულად უფრო მომგებიანი, საკუთარი ისტორიის შექმნის გეზი, ან ეთამაშათ შედარებით უსაფრთხო პოლიტიკა და „მიწებებოდნენ“ რუსეთს (Birg & Vanik, 2015,6). როგორც 2004 წლისა და შემდგომმა მოვლენებმა გვაჩვენეს, უკრაინელებმა უარი თქვეს ამ უკანასკნელ „გამოსავალზე“ და აირჩიეს ნაციონალური თვითმყოფადობისკენ სავალი გზა.

2004 წელს „ნარინჯისფერი რევოლუციით“ დაწყებული ბრძოლა ნაციონალური იდენტობის გამყარებისთვის გაგრძელდა და საბოლოოდ უკრაინელი ხალხი 2014 წლის მაიდნამდე მიიყვანა. ვითარების გამწვავება მოჰყვა პრო-რუსი პრეზიდენტის-იანუკოვიჩის „მოულოდნელ“ გადაწყვეტილებას, როდესაც მან უკრაინელების უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ ხელი არ მოაწერა უკრაინასა და ევროკავშირს შორის გასაფორმებელ ასოცირების ხელშეკრულებას. ამ ფაქტმა უკრაინელებში გაამძაფრა უკმაყოფილება, ხალხი ქუჩებში გამოვიდა და დაიწო აქციები კიევის დამოუკიდებლობის მოედანზე, ამ მოედნიდან გამომდინარე საპროტესტო აქციებს „მაიდნის აქციები“ ეწოდა. უკრაინელები ყინვასა და უამინდობასაც არ შეეგუვნენ, რამაც შედეგი გამოიღო და იანუკოვიჩმა რუსეთში გაქცევით უშველა თავს. არჩევნების შედეგად კი პრო-დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პეტრო პოროშენკო მოვიდა სათავეში.

კუზიო მიიჩნევს, რომ მაიდნის მოვლენები გამოიწვია სწორედ იმაზე რეაქციამ, თუ ვინ იყო სათავეში და რატომ სურდა ხელისუფლებაში დარჩენა. კერძოდ, იანუკოვიჩის ოთწლიანმა მმართველობამ გაამძაფრა რეგიონთაშორისი ურთიერთობები და სამოქალაქო საზოგადოების უკმაყოფილება. ამაზე განსაკუთრებით იმოქმედა

ოპოზიციის ლიდერების იულია ტიმოშენკოსა და იური ლუტცენკოს დაპატიმრებამ, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვამ და რუსეთის ბრძანებების შესრულებამ. მაგალითად, იუშენკომ დაიჭირა რუსული პოზიცია უკრაინელებისთვის ძალიან მგრძობიარე თემასთან, 1933 წელს საბჭოთა კავშირის მიერ მოწყობილ ხელოვნურ შიმშილობებთან დაკავშირებით. ამ მოვლენას უკრაინელების დიდი ნაწილი გენოციდად მიიჩნევს, ხოლო რუსული მოსაზრებისთვის მიმხრობა მათთვის ღალატის ტოლფასი იყო. გარდა ამისა, იანუკოვიჩმა გააგრძელა რუსეთთან შეთანხმება შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლში ყოფნასთან დაკავშირებით საუკუნის შუა წლებამდე. პრეზიდენტისთვის განკუთვნილი ექსტრავაგანტული შენობების მშენებლობა და ოპოზიციური ძალების დევნა კი იმაზე მიანიშნებდა, რომ იანუკოვიჩი კიდევ დიდხანს გეგმავდა ქვეყნის სათავეში ყოფნას (Kuzio, 2015, 160).

აქედან გამომდინარე, მკვლევარი ტარას კუზიო გვთავაზობს კონფლიქტის სამგვარ გავლენას, რითაც უკრაინული ნაციონალური იდენტობა შეიცვლება. უპირველეს ყოვლისა, უკრაინის სამი პრო-რუსული ძალა მარგინალიზებული გახდება. მაგალითად, კომუნისტურმა პარტია უკვე აღარაა წარმოდგენილი პარლამენტში. კონფლიქტის მეორე გავლენა გამოიხატება უკრაინული და რუსულად მოსაუბრეთა უკრაინული პატრიოტიზმის ზრდაში. ყირიმის ანექსიამ და რუსეთის სამხედრო ჩართულობამ უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში გაავრცელა უკრაინული პატრიოტიზმი რუსულად მოსაუბრე აღმოსავლეთ და სახრეთ ნაწილებშიც. კუზიო ამას ასაბუთებს იმით, რომ ნაციონალური მოხალისეობრივი ბატალიონების საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენენ აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში მცხოვრები რუსულად მოსაუბრეები. აღსანიშნავია, რომ მათ ვისაც ომამდე ჰქონდათ ორაზროვანი, პასიური და შერეული იდენტობები ომის დროს მოუწიათ არჩევანი გაეკეთებინათ ორიდან ერთი მხარის სასარგებლოდ. სამოქალაქო პატრიოტიზმი და ეთნიკური ნაციონალიზმი გაიზარდა ევრომაიდნის დროს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ასე ძლიერი ნარინჯისფერი რევოლუციის განმავლობაშიც არ ყოფილან. უკრაინული პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი მობილიზმდა არამხოლოდ პრო-რუსული ძალების წინააღმდეგ, არამედ საბჭოთა მემკვიდრეობისა და თავსმოხვეული ისტორიის წინააღმდეგაც გამოვიდა. ევრომაიდნის შემდგომ, დაახლოებით 400-მდე ლენინის ძეგლი მოიხსნა, რომელთაგან

ყველაზე დიდი ხარკოვში 2014 წელს ჩამოიღეს. კონფლიქტის მესამე გავლენად კუზიო რუსეთთან ცუდ ურთიერთობებს ასახელებს. მისი აზრით, ევრომაიდანამდე და უკრაინაში რუსულ ინტერვენციამდე ანტი-რუსული გავლენები იგრძნობდა დასავლეთ უკრაინაში, ხოლო ამ ყველაფრის შემდეგ, ანტი-რუსული შეხედულებები უკრაინის სხვა რეგიონებშიც გავრცელდა. 2014 წლის სექტემბრის გამოკითხვის მიხედვით პრეზიდენტი პუტინი უკრაინაში დასახელდა ყველაზე ნეგატიურ უცხოელ პოლიტიკოსად. კუზიო დასძენს, რომ რუსულმა ინტერვენციებმა უარყოფითად იმოქმედა რუსულ-უკრაინულ ენერგო და სავაჭრო ურთიერთობებზეც, რომლებიც აქამდე ყოველთვის მჭიდრო იყო (Kuzio, 2015,164-165). წარმოდგენილ სამ გავლენას რთულია არ დავეთანხმოთ, თუმცა, საჭიროა, რომ ვიკვლიოთ კონფლიქტის უფრო ღრმა გავლენები უკრაინულ ნაციონალურ იდენტობაზე. კერძოდ, კუზიო არაფერს ამბობს იმაზე, რომ კონფლიქტის შემდგომ კიდევ უფრო გამძაფრდა უკრაინელების სურვილი რელიგიურ დამოუკიდებლობაზე. ომის შემდგომ რელიგიასთან მიმართებით სერიოზული ცვლილებების მოთხოვნა იმძლავრა. როგორც უკვე წინა თავებშიც ვახსენეთ უკრაინის ეკლესიას დამოუკიდებლობა კარგა ხნის წინ წაერთვა და მას შემდეგ უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას მართავდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ლიდერი. რუსეთთან დაპირისპირების პარალელურად უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნები გაძლიერდა.

უკრაინაში მართლმადიდებლური ეკლესიის სამი განსხვავებული შტო არსებობს: უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია (კიევის პატრიარქატით); უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია (მოსკოვის პატრიარქატით) და ე.წ უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია.

ხსენებული სამი შტოდან ორი გამოვიდა დამოუკიდებელი უკრაინული ეკლესიის შექმნის ინიციატივით, კერძოდ, გასული წლის 15 დეკემბერს, კიევში გაიმართა საეკლესიო კრება, ამ კრებაზე ახალ სტრუქტურად გაერთიანდნენ კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. მათ საფუძველზე შექმნილი ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიეკუთვნა. ახალი ეკლესიის მიტროპოლიტი გახდა 39 წლის ეპისკოპოსი ეპიფანე. ქვეყნის პრეზიდენტი პოროშენკო მიესალმება

აღნიშნულ ვითარებას, მან ისტორიული მოვლენა უწოდა ახალი ეკლესიის შექმნას. რაც შეეხება კრემლს, ისევე როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ისიც მკაცრად აკრიტიკებს გადაწყვეტილებას უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ (რადიო თავისუფლება, 2019).

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საჭიროებს მეტ ყურადღებას არის ენის მდგომარეობა უკრაინაში. ენა პირდაპირ კავშირშია ნაციონალურ იდენტობასთან. არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ამა თუ იმ ენას არ ანიჭებს უპირატესობას, როგორც ნაციონალურს. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც რამდენიმე ენას აძლევენ ოფიციალურ სტატუსს.

უკრაინის შემთხვევაში უკრაინული გამოცხადდა ერთადერთ ოფიციალურ ენად ჯერ კიდევ 1989 წელს, მაშინ ის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1991 წლამდე უკრაინული იშვიათად გამოიყენებოდა საზოგადო ცხოვრებაში სასაუბროდ. მოსწავლეთა 51 პროცენტს რუსულად ასწავლიდნენ. ჟურნალ-გაზეთებიც რუსულად გამოდიოდა, ხოლო უკრაინული ხალხის მიერ აღიქმებოდა გლეხურ ენად. ოდესასა და დონეცკში რუსული მეორე ოფიციალურ ენად გამოაცხადეს, ხოლო ყირიმში იგივე გააკეთეს თათრულთან და რუსულთან მიმართებით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უფრო აქტიურად მიჰყვეს ხელი უკრაინულის დანერგვას ყოველდღიურობაში. უკრაინული ენის გამოყენების ხელშესაწყობად გამოყვეს კვოტები მედიაში, ხელი ეწყობოდა განათლებაში უკრაინულის დანერგვას, ასევე, კვლევების უკრაინულად წარმოებას. ოცდამეერთე საუკუნეში ტელე გადაცემების უმრავლესობა უკრაინულზე გადაერთო. უკრაინული ენის ცოდნისა და გამოყენების სურვილი კავშირშია უკრაინული სახელმწიფოს მხარდაჭერასთან. უკრაინული თვალთახედვით, მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ უკრაინულად საუბარი და უკრაინულის გამოყენება უნდა იყოს წახალისებული შესაბამისი პოლიტიკით (Smoor, 2017,75-77).

ენასთან დაკავშირებული საკითხები უკრაინაში რეგულირდება N. 5026-VI კანონით, რომელსაც „სახელმწიფო ენის პოლიტიკის პრინციპები“ ეწოდება. კანონი 2012 წელს მიიღეს და ის დღესაც მოქმედი. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს კანონი კონსტიტუციას

ეწინააღმდეგება. კანონის მიხედვით რეგიონული, ან უმცირესობის ენები უნდა გამოიყენებოდეს მსგავსად უკრაინულისა განათლებაში, მედიასა და საზოგადოებრივ ადმინისტრაციაში უკრაინის უმეტეს რეგიონში. ეს კი, ბევრის აზრით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მეათე მუხლს, რომლის მიხედვითაც ერთადერთ სახელმწიფო ენას წარმოადგენს უკრაინული და სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს უკრაინული ენის ხელშეწყობისთვის სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში უკრაინის მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, მეათე მუხლი, ასევე ითვალისწინებს სხვა ენების თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობას. ეს ეხება რუსულსაც და სხვა უმცირესობის ენებსაც (UCIPR, 2017, 9). როგორც ჩანს, 2012 წლის კანონი ავალდებულებს ქვეყანას უკრაინულს გაუთანაბროს უმცირესობის ენები, მაშინ, როცა, კონსტიტუციით უკრაინულს ენიჭება უპირატესობა.

რეგიონულ ენად შეიძლება ჩაითვალოს ენა თუ რეგიონის მოსახლეობის 10 პროცენტზე მეტი ამ ენაზე საუბრობს. ამ სქემით რუსული რეგიონული ენაა უკრაინის 27 რეგიონიდან 13-ში. 2014 წლის 23 თებერვალს, მაიდნის მოვლენებისა და პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის გაქცევის შემდეგ, უკრაინულმა პარლამენტმა მხარი დაუჭირა 2012 წლის კანონის გაუქმებას. თუმცა, 2014 წლის მარტში ახალარჩეულმა პარლამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრ ტურჩინოვმა უარი განაცხადა ხელი მოეწერა გაუქმების ძალაში შესვლაზე. ამის მიუხედავად, უკრაინულ და უცხოურ მედიაში არსებობდა კრიტიკული დამოკიდებულება ახალ უკრაინულ მთავრობასთან დაკავშირებით, თითქოს ისინი დევნიდნენ რუსულად მოსაუბრეებს. ასეთი კრიტიკული დამოკიდების საფუძველი კი რეალურად არაა, ვინაიდან 2017 წლის მონაცემებით უკრაინაში დაახლოებით 1256 სკოლა არსებობს, რომლებიც რუსულ სწავლებას სთავაზობენ მსურველებს. 2014 წლის მოვლენების შემდგომ უკრაინულ მთავრობას არ უწარმოებია პოლიტიკა, რომლითაც რუსულ ენას დისკრიმინაციას გაუწევდა. თუმცა, 2014 წლის კონფლიქტის შემდეგ, მათ დაბლოკეს რუსული ტელეარხები, რათა გადაეფარათ პრო-რუსული პროგრამებისა და ინფორმაციის სიჭარბე და დაეცვათ უკრაინულად მოსაუბრეთა უფლებები. ამაში შედის, კანონი, რომლის მიხედვითაც რადიოში გამავალი სიმღერების 35 პროცენტი უკრაინულად უნდა იყოს. (UCIPR, 2017, 9-10). ასეთი ენასთან დაკავშირებული მცირე კანონები, რომლებიც კონფლიქტის შემდგომ


დაწესდა, მიუთითებენ იმაზე, რომ უკრაინელები და უკრაინული მთავრობა კონფლიქტის შემდგომ უფრო მეტად ზრუნავენ უკრაინული ენის დაცვასა და წახალისებაზე. მათ შეიმუშავეს ენის ახალი კანონიც რომელსაც მოგვიანებით შევეხებით.

ომის გავლენა ნაციონალური იდენტობის ნარატივებზე: სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი

ის თუ როგორი გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის ომმა უკრაინაში არსებულ ე.წ. „პატარა რუსების“, უკრაინულ ეთნო-კულტურულსა და პან-სლავურ იდენტობის ნარატივებზე შესაძლებელია გავიაზროთ სხვადასხვა გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე. მართალია, ამ გამოკითხვებში კითხვები პირდაპირი მნიშვნელობით ამ ნარატივებზე არ დასმულა, თუმცა, თუკი ნარატივებს დავუკავშირებთ მათთან ახლოს მდგომ პოლიტიკურ კურსს, პასუხებიდან გამომდინარე შევძლებთ გარკვეული დასკვნების გამოტანას.

მაგალითად, „პატარა რუსების“ ნარატივი შეგვიძლია დავუკავშიროთ პრო-რუსულ კურსს, უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი პრო-რუსული კურსის საწინააღმდეგო მიმართულებისაა და უფრო იზიარებს პრო-დასავლურ კურსს, რაც შეეხება პან-სლავურ ნარატივს, ეს უკანასკნელიც შეიძლება პრო-რუსულს დავუკავშიროთ, თუმცა „პატარა რუსების“ ნარატივისგან განსხვავებით მას ნეიტრალური როლის შესრულებაც შეუძლია.

კერძოდ, ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათ რუსული იდენტობაც გააჩნიათ და უკრაინულიც, შეგვიძლია მოვათავსოთ პან-სლავური ნარატივის ჭრილში.



დიაგრამა 1: 2013-2016 წლების მოვლენების შედეგად გამოწვეული იდენტობის ცვლილება. წყარო: ZOiS, 2017.


ზემოთწარმოდგენილი დიაგრამა ეყრდნობა 2016 წელს ZOiS-ის მიერ ჩატარებულ კვლევას. აქ ნაჩვენებია ის თუ როგორ აღიქვამენ გამოკითხულები საკუთარ იდენტობას 2013-16 წლების დაპირისპირების შემდეგ. მარცხენა დიაგრამაზე ასახულია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მონაცემები. უკრაინაში მცხოვრები დევნილების პასუხი ასახულია ნაცრისფერით, ხოლო რუსეთში წასული ლტოლვილების პასუხები კი შავით. ამ დიაგრამიდან კარგად ჩანს, რომ უკრაინაში დარჩენილი დევნილებისა და რუსეთში წასული ლტოლვილების მოსაზრებები მნიშვნელოვნად განსხვავდება. კერძოდ, გამოკითხვის თანახმად, დევნილების უმრავლესობის იდენტობა (50.5 %) არ შეცვლილია, რუსეთში გამოკითხული ლტოლვილების უმრავლესობა (52.2 %) კი აფიქსირებს, რომ დაპირისპირების შემდგომ მათი იდენტობა უფრო რუსული გახდა. ასევე აღსანიშნავია, რომ უკრაინაში დარჩენილი დევნილების საკმაოდ დიდი პროცენტი (32) მიიჩნევს, რომ მათი იდენტობა ომის შემდგომ უფრო უკრაინული გახდა.

მარჯვენა დიაგრამაზე კი ნაჩვენებია იგივე კითხვაზე კიევის მიერ კონტროლირებადი დონბასის მაცხოვრებლებისა და არაღიარებულ დონეცკსა და ლუჰანსკში გამოკითხულთა პასუხები. დონბასის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი (60 პროცენტი) მიიჩნევს, რომ მათი იდენტობა იგივეა, რაც ომამდე იყო. დონბასელ გამოკითხულთა 20,5 პროცენტის აზრით მათი იდენტობა უფრო მეტად უკრაინული გახდა. რაც შეეხება დონეცკსა და ლუჰანსკში გამოკითხულებს მათი 26,1 პროცენტი თავს ახლა უფრო რუსად აღიქვამს.

მოცემული დიაგრამების მიხედვით შეიძლება, რომ უკრაინაში მცხოვრებ დევნილებში, რუსეთში წასულ ლტოლვილებში, დონბასის მაცხოვრებლებში, ასევე ლუჰანსკისა და დონეცკის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში გამოკითხულთა შორის იკვეთება განსხვავებები იდენტობის გადაფასებასთან მიმართებით. ომის შემდგომ უკრაინიდან რუსეთში წასულ ლტოლვილებში ახლა ნახევარზე მეტი თავს უფრო ახლოს რუსეთთან თვლის. ამ ადამიანებში პრო-რუსული იდენტობა მძლავრობს. უკრაინაში მიმოფანტული დევნილების შემთხვევაში, პირიქით, გაძლიერდა უკრაინული იდენტობა, შესაბამისად აქ უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი უფრო ძლიერია. მსგავსად ამისა, კიევის მიერ კონტროლირებად დონბასში უფრო

მისაღებია უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი, ხოლო თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში გამოკითხულთა 26,1 პროცენტი უფრო რუსული იდენტობისკენ გადაიხარა, რაც გვამღევეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამ ადამიანებისთვის „პატარა რუსეთის“ ნარატივი და სხვა პრო-რუსული ნარატივები უფრო მისაღები გახდა.

გამოკითხულთა შორის საკმაო ნაწილი (დევნოვებში 14,5, ლტოლვილებში 27,1, დონბასში 14,3, დონეცკისა და ლუჰანსკის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში 20,4 პროცენტი) მიიჩნევს, რომ ომის შემდეგ მათი იდენტობა რუსულიცაა და უკრაინულიც. პან-სლავური ნარატივის მიხედვით რუსებიც და უკრაინელებიც ერთიანდებიან სლავურ იდენტობაში. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ხალხი, რომელიც მიიჩნევს, რომ მათი იდენტობა რუსულიცაა და უკრაინულიც და ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავს, პან-სლავური იდენტობის ნარატივის მომხრეა.



დიაგრამა 2: უკრაინის ნატოში გაწევრიანებას. წყარო:

<https://gordonua.com/news/society/opros-simpatiya-ukraincev-k-nato-rastet-negativnoe-otnoshenie-k-rossii-u-67-zhiteley-strany-77349.html>

კიდევ ერთი კითხვა, რომელზე პასუხების ანალიზითაც შეგვიძლია დავაკვირდეთ უკრაინაში ომის მიერ იდენტობის ნარატივებზე გავლენას არის შეკითხვა ნატოში

გაწევრიანებაზე. პრო-რუსები და „პატარა რუსეთის“ ნარატივის მომხრეები ეწინააღმდეგებიან ნატოში გაწევრიანებას, ვინაიდან მათთვის მისაღები არჩევანი უფრო მეტად რუსეთთან დაახლოება და შესაბამისად, რუსეთის მიერ შექმნილი ალიანსების წევრობაა. ცხრილ 4-ზე ნაჩვენებია “რაზუმკოვის“ ცენტრის მიერ, 2011, 2014 და 2015 წლებში გამოკითხულ უკრაინელთა პასუხი კითხვაზე „მხარს უჭერთ თუ არა უკრაინის ნატოში გაწევრიანებას?“. მოცემული დიაგრამა საინტერესოა იმიტომ, რომ იგი ასახავს დასმულ კითხვაზე ომამდელ და ომისშემდგომ პასუხებს, რაც ამარტივებს აღვიქვამთ ცვლილებები.

2011 წელს გამოკითხულთა 60 პროცენტი მხარს არ უჭერდა ნატოში გაწევრიანებას, როცა ურთიერთობები რუსეთთან დაიძაბა ეს რიცხვი 42 პროცენტზე ჩამოვიდა, 2015 წელს კი კიდევ უფრო დაიკლო და 32 პროცენტი გახდა. რადიკალური ცვლილებაა ომისშემდგომ დადებით პასუხზე- 2011 წელს 18 პროცენტიდან 2015-ში 43 პროცენტამდე. მოცემული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ომის შემდგომ გაიზარდა უკრაინელებში ნატოსადმი დადებითი წარმოდგენები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ომისშემდგომ პრო-რუსული იდენტობის ნარატივები უკრაინაში სუსტდებიან.

კიევის საერთაშორისო სოციოლოგიის ინსტიტუტის 2014 წლის სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, რომ მაიდნისა და რუსული ინტერვენციის შემდგომ, უკრაინელების უმეტესობა უფრო მეტად აღიქვამს საკუთარ თავს უკრაინული სახელმწიფოსა და ერის ნაწილად (მაგალითად, გამოკითხვებში კითხვაზე „უპირველეს ყოვლისა, რად მიგაჩნია შენი თავი?“ რესპოდენტების 51.7-მა პროცენტმა უპასუხა უკრაინის მოქალაქე), გარდა ამისა უკრაინულ იდენტობაში მიმდინარე ბოლოდროინდელი ცვლილებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს რუსეთისგან გაუცხოვება (Kulyk, 2016, 595-600).

უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივის გაძლიერებაზე მიუთითებს ბოლოდროინდელი ცვლილებები უკრაინულ კანონმდებლობაში, კერძოდ უკრაინულ ენასთან მიმართებით. 2019 წლის 25 აპრილს უკრაინის პარლამენტმა დაამტკიცა „კანონი უკრაინულის, როგორც სახელწიფო ენის, ფუნქციონირების გარანტიისთვის“. ამ

კანონის შემოტანის ინიციატორი უკრაინის ამჟამად ყოფილი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო იყო და მიუხედავად ამისა, მას ეს კანონი არჩევნებში გამარჯვებაში არ დაეხმარა. მოცემული კანონის ფარგლებში უკრაინულ ენას განსაკუთრებული სტატუსი ენიჭება. სამოქალაქო სექტორში დასაქმებულებისთვის, ასევე ექიმებისთვის, ჯარისკაცებისთვის და მასწავლებლებისთვის სავალდებულო იქნება უკრაინულის ცოდნა. ახალი კანონმდებლობის თანახმად ტელევიზიებმა და ფილმების დისტრიბუტორებმა თავიანთი ნაწარმის შინაარსის 90 პროცენტი უკრაინულ ენაზე უნდა გადმოსცენ. ხოლო უკრაინული ბეჭდვითი მედიისა და წიგნების სულ მცირე 50 პროცენტი უნდა გამოიცეს უკრაინულ ენაზე. მოცემული კანონის მიღებას საკანონმდებლო შტოს წარმომადგენლები ოვაციებითა და ნაციონალური ჰიმნის შესრულებით შეხვდნენ. როგორც ჩანს, არც უკრაინელი ხალხი შეხვდა ამ მოვლენას გულგრილად, ათასობით ადამიანი, უკრაინული დროშებით პარლამენტის წინ შეიკრიბა კანონის მხარდასაჭერად. კანონმდებლობის ერთ-ერთმა ავტორმა მიკოლა კნიაჟიტსკიმ ეს სიტუაცია შემდეგნაირად შეაფასა: „ ეს არის ისტორიული მომენტი, რომელსაც უკრაინელები საუკუნეების განმავლობაში ელოდნენ, იმიტომ , რომ უკრაინელები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ მიეღწიათ საკუთარი ენის უფლებისათვის“ (Polityuk, 2019).

25 აპრილს მიღებულ ამ კანონს გამოეხმაურა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელმაც თავის ოფიციალურ ვებგვერდზე კანონთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ინფორმაცია ახსნა-განმარტების სახით. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს იმას, რომ მოცემული კანონით არ მოხდება უმცირესობების ენის დისკრიმინაცია. მათი განმარტებით, კანონი შემუშავდა იმისთვის, რომ აღმოფხვრას უკრაინული ენისადმი შემორჩენილი დისკრიმინაციული მიდგომა, რომელიც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის დანატოვარია. სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის მიერ აღნიშნული კანონის არასწორი ინტერპრეტირება ხდება, არანაირი რუსული ენის „აკრძალვა“ არ განიხილება, სიტყვა „აკრძალვა“ საერთოდ არაა ნახსენები, არამედ კანონში ხშირად საუბარია „დაცვაზე“. ენის კანონთან დაკავშირებით მოსახლეობას ბევრი კითხვა გაუჩნდა და სამინისტროს ვებგვერდზე თითქმის ყველაფერზე გასცეს მოკლე პასუხი. მაგალითად კითხვაზე: „მართალია თუ არა, რომ ქუჩაში რუსულად

კომუნიკაცია აიკრძალება და ქუჩებში დაიწყება პატრულირება?„ საგარეო საქმეთა სამინისტრო მოკლედ და კონკრეტულად პასუხებს- არა. სამინისტრო აღნიშნულ საკითხს შემდეგნაირად აჯამებს: ვინაიდან, უკრაინის მთლიანი „უკრაინიზაცია“ ჯერ არ მომხდარა, უკრაინულ ენას სჭირდება დაცვა და განვითარება, რაზეც ხსენებული ენის კანონი ამახვილებს ყურადღებას. საერთო ჯამში, კანონი არის იმაზე, რომ უკრაინელებმა უნდა ისწავლონ უკრაინული. უკრაინულის ცოდნის გარეშე შეუძლებელია განვითარდე კარიერულად, გახდე საჯარო სივრცეში დასაქმებული, იმუშაო სამოქალაქო სექტორში (19 მაისი, 2019). უკრაინული ენის წახალისება მომავალში კიდევ უფრო მკვეთრად გააძლიერებს უკრაინულ ეთნო-კულტურულ იდენტობას, ვინაიდან, როგორც ლოკნერმა და სეისმა ზიოსის გამოკითხვების ანალიზის შედეგად დაასკვნეს, შანსი, რომ ადამიანი, რომელიც უკრაინულს მშობლიურ ენად მიიჩნევს, უპასუხებს, რომ ომის შემდგომ მისი იდენტობა „უფრო უკრაინულია“, თოთხმეტჯერ აღემატება სხვა რესპოდენტების მიერ ამავე პასუხის გაცემის შანსს (Sasse & Lackner, 2018, 8).


ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ომის შემდგომ უკრაინელებში უკრაინული იდენტობის გაძლიერებას არ გამოუწვევია რუსული ენისადმი გაუარესებული დამოკიდებულების შექმნა. შეიძლება ამ მოსაზრებას ზემოთწარმოდგენილი ენის კანონის შემოღების მოწინააღმდეგეები დაუპირისპირდნენ, თუმცა, გამოკითხვების ანალიზით ეს არ დასტურდება (Kulyk, 2016, 600). ამასთანავე, უკრაინელების ნეგატიური დამოკიდებულება ძირითადად მიმართულია რუსული სახელმწიფოს და არა ხალხის მიმართ. განცხადებას, რომ „რაც არ უნდა გააკეთონ მმართველებმა, რუსი ხალხი ყოველთვის ახლოს იქნება უკრაინელ ხალხთან“ 24 პროცენტმა სრული თანხმობა გამოუცხადა, კიდევ 40 პროცენტი ასე თუ ისე დაეთანხმა. მხოლოდ 11-მა პროცენტმა გადაჭრით თქვა უარი (Kulyk, 2016, 601).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ ე.წ „რუსული სამყაროს“ კონცეფციის მხარდაჭერით რუსეთი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ სლავური ცივილიზაცია ერთიანია და მის შიგნით არსებული ხალხი საერთო წარსულის, კულტურისა და მსგავსი მენტალიტეტის მქონეა, ხოლო რუსეთი უნდა იყოს ის წამყვანი ძალა, რომლის გარშემოც უნდა მოხდეს სლავი ხალხის მობილიზება. სხვადასხვა ქვეყნებში პრო-რუსული იდენტობის

განმტკიცებით რუსეთის ამ იდეის აღორძინებას ხელი ეწყობა. „რუსული სამყაროს“ კონცეფცია სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის იმპერიული სახის აღდგენა, რაც მას კვლავ დაუბრუნებს „დიდი ძალის“ სტატუსს. რუსეთზე, როგორც სლავური ცივილიზაციის მამოძრავებელ ღერძზე, ფოკუსირება უკრაინას აყენებს პერიფერიულ პოზიციაზე. „პატარა რუსების“ იდენტობა ისედაც აწებებს უკრაინელ საზოგადოებას რუსეთის პროვინციის სტატუსს. ამის შედეგად, უკრაინული საზოგადოებისთვის უფრო მიმზიდველია ევროპასთან კულტურული და პოლიტიკური სიახლოვე. ამის გამო, უკრაინული ნაციონალური იდენტობის ნარატივებიდან რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სლავური იდენტობა არამიმზიდველია. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ პრო-რუსული იდენტობის ნარატივები ძირითადად ეყრდნობა ეთნიკური და კულტურული მსგავსების იდეას, მაშინ, როცა ევროპული იდენტობა ერთგვარი სამყაროსადმი ხედვაა, რომელიც ეყრდნობა ცალკეულ ღირებულებათა სისტემას (დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ა.შ).


უკრაინელი ხალხის მიერ ევროპასთან უკრაინის პოლიტიკური სიახლოვის სურვილი პირველ რიგში გამოიხატება ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვით. ხოლო იმაზე, რომ უკრაინელებისთვის პრო-რუსული იდენტობის ნარატივები არასასურველია მიუთითებს უკრაინელების უარი რუსეთის მიერ შექმნილ ეკონომიკურ გაერთიანებას, რომელიც ევროკავშირის საპირწონედ შეიქმნა.

დღეს რეფერენდუმი რომ ჩატარდეს ევროკავშირში გაწევრიანებაზე როგორ მისცემდით ხმას?



დიაგრამა 3: უკრაინის მოქალაქეების გამოკითხვა 2014 წლის 14-26 მარტი, რეფერენდუმი ევროკავშირში გაერთიანებაზე. წყარო: IRI

დღეს რომ რეფერენდუმი ტარდებოდა რუსეთთან, ბელორუსთან და ყაზახეთთან ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზე როგორ მისცემდით ხმას?



დიაგრამა 4: უკრაინის მოქალაქეების გამოკითხვა 2014 წლის 14-26 მარტი, რეფერენდუმი ევრაზიულ კავშირში გაერთიანებაზე. წყარო: IRI

IRI-ის გამოკითხვების მიხედვით კარგად ჩანს, რომ უკრაინის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხარს უჭერს უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას, რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს მოსახლეობის უმრავლესობა ხმას არ მისცემდა კავშირში გაერთიანებას.

გარდა იმისა, რომ უკრაინელები მტკიცე უარს ამბობენ რუსეთის მიერ შემოთავაზებულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანებაზე, არსებობს რუსეთის მიერ თავსმოხვეული პოლიტიკური კონცეპტი, რომელსაც მხოლოდ უკრაინის სეპარატისტული რეგიონები მიესაღებინან, დანარჩენი უკრაინისთვის კი ეს კონცეპტი პრო-რუსული გეზის აღების სურვილს ახშობს. ეს გახლავთ „ახალი რუსეთის“ იდეა

ე.წ „ახალი რუსეთი“ (Novorossiya) ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის ისტორიული სახელწოდებაა, რომელიც ეკატერინე დიდმა დაიბყრო. ახლა ამ ტერიტორიების უმეტესი ნაწილი სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინას წარმოადგენს. ე.წ „ახალ რუსეთში“ მეთვრამეტე საუკუნეში რუსებმა სევასტოპოლის, სიმფეროპოლის, ტირასპოლისა და ოდესის ქალაქები დაარსეს. მოგვიანებით, ამ არეალის ნაწილი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილი გახდა და „ახალი რუსეთის“ ცნება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წამოტივტივდა. კერძოდ, 1994 წელს, მოლდოვის თვითგამოცხადებული სეპარატისტული რეგიონის, დნესტრისპირეთის პარლამენტის თავმჯდომარემ, გამოაცხადა, რომ დნესტრისპირეთი „რუსეთის სამხრეთ რეგიონის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ეს ნაწილი ასევე მოიცავს ყირიმს, ოდესას,

სხვა უკრაინულ მხარეებს და რომელიც არის ე.წ „ახალი რუსეთი“ (Kinstler, 2014). სამხედრო დაპირისპირებამ კვლავ წინ წამოსწია „ახალ რუსეთზე“ საუბრები. კერძოდ, ვლადიმერ პუტინმა 2014 წელს უკრაინაში მიმდინარე მოვლენების პარალელურად ახსენა, რომ ისტორიულად ხარკოვის, ლუგანსკის, დონეცკისა და ოდესის მხარეები არ იყო უკრაინის შემადგენლობაში ცარისტული რუსეთის დროს და რომ მათი გადაცემა უკრაინისთვის მოხდა 1920 წელს. პუტინის თქმით „რატომ მოხდა ასე გაუგებარია. სხვადასხვა მიზეზით ეს ტერიტორია დაიკარგა, ხოლო ხალხი კი იქ დარჩა. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მათ, რომ გამოსავალი იპოვონ“ (Gentleman, 2014). „გამოსავალი“ რომელზეც პუტინი საუბრობს რუსული იმპერიალისტური მისწრაფებების რეალობაში გადმოტანაა. ომმა საშუალება მისცა დონეცკისა და ლუჰანსკის თვითგამოცხადებულ წარმონაქმნებს ხელი მოეწერათ შეთანხმებზე 2014 წლის 24 მაისს, რითაც ისინი ე.წ „ახალი რუსეთის“ სახელის ქვეშ გაერთიანდნენ. მართალია, ამჟამად „ახალი რუსეთის“ პროექტი გაყინულ მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან, 2015 წლის 20 მაისს მინსკის მოლაპარაკებების წყალობით, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების გაერთიანებულმა პარლამენტმა „ახალი რუსეთის“ აქტივობების დროებით შეჩერება გამოაცხადა, თუმცა, ის ფაქტი, რომ ასეთი პროექტი საერთოდ არსებობს უკრაინის სახელმწიფოსა და ხალხისთვის ზედმეტად არასასურველია.

ამასთანვე აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქმედებები ხელს უწყობს სეპარატისტების იდენტობის პან-რუსული იდენტობისკენ გადახრას, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამის სანაცვლოდ რუსეთს შესაძლოა მოუწიოს დაემშვიდობოს უკრაინელების, როგორც „ძმური სახელმწიფოს“ იდეოლოგიას. ამას გვიჩვენებს ცალკეულ გამოკითხვათა პასუხები:

„კუჩევინას ფონდის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან, რომელიც 2014 წლის 12-21 სექტემბერს ჩატარდა ჩანს, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა დონბასსა და დასავლეთ უკრაინაში გამოკითხულთა პასუხებში. კითხვაზე, არის თუ არა რუსეთი დამნაშავე აღმოსავლეთ უკრაინაში დატრიალებულ სისხლისღვრაზე დონბასელთა მხოლოდ 19,1-მა პროცენტმა უპასუხა „დიახ“ (ნამდვილად, ან სავარაუდოდ), მაშინ როცა, დასავლეთ უკრაინაში 81,6-მა პროცენტმა უპასუხა „დიახ“ და მხოლოდ 15,8 პროცენტმა უპასუხა „არა“ (Petro, 2016, 28). საერთო ჯამში, აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის სამხედრო

დაპირისპირებამ განამტკიცა შეხედულებები ორივე მხარეში. დასავლეთ უკრაინელები ახლა უფრო დარწმუნებულები არიან, რომ საქმე აქვთ რუსულ დაბეჯობასთან და რომ უკრაინა უნდა დარჩეს უნიტარულ სახელწიფოდ, რომელსაც მხოლოდ ერთი ოფიციალური ენა ექნება-უკრაინული. ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ უკრაინელები ახლა უფრო ფიქრობენ, რომ არსებული კრიზისი კიევიდან გამომდინარებს და რომ რუსულ ენას უნდა ჰქონდეს ისეთივე სტატუსი, როგორც უკრაინულს (სულ მცირე თავიანთ რეგიონებში მაინც) (Petro, 2016, 29).

დასკვნა

უკრაინაში მიმდინარე ომის პირობებში საინტერესო პროცესის მოწმეები ვხდებით. თანდათანობით უკრაინელები იცილებენ „პატარა რუსეთის“ იდენტობის ნარატივს და მათში ძლიერდება სახელმწიფოებრიობისა და უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის შეგრძნება. შეიძლება ისიც ითქვას, რომ რუსეთი დღესდღეობით უკრაინის მთავარ საფრთხედ და შესაბამისად, პრინციპულ „სხვად“ გვევლინება.

ამასთანავე, ომი კატალიზატორი გახდა მთელი რიგი მოვლენებისა, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის გამყარებას, ამ მოვლენებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცვლილებები ენისადმი დამოკიდებულებასა და რელიგიაში.

რელიგიასთან მიმართებით, ომის შემდგომ სერიოზული ცვლილებების მოთხოვნილებამ იმპლავრა. უკრაინის ეკლესიას დამოუკიდებლობა დიდი ხნის წინ წაერთვა და მას შემდეგ უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას მართავდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ლიდერი, რასაც მოსახლეობა არ მიესალმებოდა. რუსეთთან დაპირისპირების პარალელურად უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნები გაძლიერდა, რის შემდგომაც უკრაინის ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა საომარი ვითარების პირობებში.

ნაციონალური იდენტობის ფარგლებში ერთ-ერთი გამოკვეთილი ცვლილებაა უკრაინულის, როგორც ნაციონალური ენის დაფასება. ენისადმი ეს ცვლილება აისახა კანონმდებლობაშიც. „კანონი უკრაინულის, როგორც სახელწიფო ენის, ფუნქციონირების გარანტიისთვის“ შეიქმნა უკრაინული ენის დაცვისა და წახალისებისთვის. უკრაინული ენის ცოდნა ომის შემდგომ უფრო პოპულარული ხდება და ახლა უკვე კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომ ის პირები, რომლებსაც უკრაინული არ ეცოდინებათ ვერ იმუშავენ საჯარო სექტორში.

გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილი სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ უკრაინელები ვერ შეეგუებინან პრო-რუსულ იდენტობის ნარატივებს. მათთვის მიუღებელია ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება ევროკავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკრაინული ეთნო-კულტურული იდენტობის ნარატივი სხვა ნარატივებთან მიმართებით ლიდერულ პოზიციაზე კიდევ დიდხანს დარჩება და მას პრო-დასავლური იდენტობის გავლენა ექნება.

ბიბლიოგრაფია

დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

Applebaum, A. (2014, მაისი 14). LAY OFF NATIONALISM IT'S TROUBLE IN THE HANDS OF RUSSIAN DICTATORS. BUT IT'S UKRAINE'S ONLY HOPE. The New Republic, 11-14.

Birg, A., & Vanik, M. (2015, May 1). National Identities in Russia and Ukraine in the 21st ... Retrieved June 28, 2019, from [https://www.tilburguniversity.edu/sites/tiu/files/download/Birg and Vanik Honors essay 3.pdf](https://www.tilburguniversity.edu/sites/tiu/files/download/Birg_and_Vanik_Honors_essay_3.pdf)

IRI. (2014). Public Opinion Survey Residents of Ukraine. Retrieved June 28, 2019, from [http://www.iri.org/sites/default/files/2014 April 5 IRI Public Opinion Survey of Ukraine, March 14-26, 2014.pdf](http://www.iri.org/sites/default/files/2014%20April%205%20IRI%20Public%20Opinion%20Survey%20of%20Ukraine,%20March%2014-26,%202014.pdf)

Magocsi, P. R. (2010). *A history of Ukraine*. University of Toronto Press.

ZOiS. (2017). No.3 November 2017 ZOIS REPORT. Retrieved June 28, 2019, from https://www.zois-berlin.de/fileadmin/media/Dateien/ZOiS_Reports/ZOiS_Report_3_2017.pdf

CIA. (2018, February 01). The World Factbook: Ukraine. Retrieved June 28, 2019, from <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/up.html>

Evera, S. V. (1994, March). Hypotheses on Nationalism and War - ResearchGate. Retrieved June 28, 2019, from

https://www.researchgate.net/publication/254947940_Hypotheses_on_Nationalism_and_War

Gentleman, A. (2014, April 17). Putin asserts right to use force in east Ukraine. Retrieved June 28, 2019, from <https://www.theguardian.com/world/2014/apr/17/vladimir-putin-denies-russian-forces-eastern-ukraine-kiev>

Himka, J. (2006). Basic Historical Identity Formations in Ukraine: A Typology. Retrieved June 28, 2019, from

https://www.academia.edu/499201/Basic_Historical_Identity_Formations_in_Ukraine_A_Typology

Hrynkiv, R. (2013). Scottish and Ukrainian nationalism: A comparative study. Retrieved June 28, 2019, from <https://via.library.depaul.edu/etd/142/>

Kinstler, L. (2014, April 07). Protesters in Eastern Ukraine Are Chanting "New Russia," an Old Term That's Back in Vogue. Retrieved June 28, 2019, from

https://newrepublic.com/article/117284/federalized-ukraine-could-mean-return-novorossiya?fbclid=IwAR0eHOyXF436X6Aq9BsmWWJRQIXsNg15K7Ny0xlNhpFk3knsoDTQ_GXUhZ8

Kravchenko, V. (2015, August). UKRAINE AND RUSSIA: IN SEARCH OF A DIVERGENT FUTURE. Retrieved June 28, 2019, from

http://www.cicerofoundation.org/lectures/Volodymyr_Kravchenko_Ukraine_and_Russia.pdf

Kulyk, V. (2014). Ukrainian nationalism since the outbreak of Euromaidan. Retrieved June 28, 2019, from https://www.academia.edu/9770135/Ukrainian_nationalism_since_the_outbreak_of_Euromaidan

Kulyk, V. (2016, October 5). Language and identity in Ukraine after Euromaidan ... Retrieved June 28, 2019, from <https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0725513616668621>

Kuzio, T. (2015, April 22). Competing Nationalisms, Euromaidan, and the Russian-Ukrainian Conflict - Kuzio - 2015 - Studies in Ethnicity and Nationalism - Wiley Online Library. Retrieved June 28, 2019, from <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/sena.12137>

Llobera, J. R. (1999). RECENT THEORIES OF NATIONALISM. Retrieved from http://maxweber.hunter.cuny.edu/pub/eres/SOC217_PIMENTEL/nationalismheories.pdf

Petro, N. N. (2015, March 13). Understanding the Other Ukraine: Identity and Allegiance in Russophone Ukraine. Retrieved June 28, 2019, from <https://www.e-ir.info/2015/03/13/understanding-the-other-ukraine-identity-and-allegiance-in-russophone-ukraine/>

Petro, N. N. (2016). Ukraine and Russia: People, Politics, Propaganda and Perspectives. In *Ukraine and Russia: People, Politics, Propaganda and Perspectives*(pp. 18-35). E-International Relations Publishing.

Polityuk, P. (2019, April 25). Ukraine passes language law, irritating president-elect and Russia. Retrieved June 28, 2019, from <https://www.reuters.com/article/us-ukraine-parliament-language/ukraine-passes-language-law-irritating-president-elect-and-russia-idUSKCN1S111N>

Subtelny, O. (2009). *Ukraine a history*. Toronto: University of Toronto Press.

Міністерство закордонних справ України. (2019, May 19). Explanation on the Law of Ukraine "On ensuring the functioning of the Ukrainian language as the state language". Retrieved from <https://mfa.gov.ua/ua/news-feeds/foreign-offices-news/72567-explanation-onthe-law-of-ukraine-on-ensuring-the-functioning-of-the-ukrainian-language-as-the-state-language>

Опрос: Симпатия украинцев к НАТО растет, негативное отношение к России у 67% жителей страны. (2015). Retrieved June 28, 2019, from <https://gordonua.com/news/society/opros-simpatiya-ukraincev-k-nato-rastet-negativnoe-otnoshenie-k-rossii-u-67-zhiteley-strany-77349.html>

რადიო თავისუფლება. (2019, January 05). პატრიარქმა ბართლომემ ხელი მოაწერა ტომოსს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. Retrieved June 28, 2019, from <https://www.radiotavisupleba.ge/a/29692773.html?fbclid=IwAR2LGTXA9fm8kgBbprTHHqEC1bIVIGE1N979kGlboVgxBcf68UM56j-11oA>

Schlesinger, P. (1987). 'On national identity: Some conceptions and misconceptions criticized', *Social Science Information*, 26(2): 219-264. ბოლო ნახვა 12 მაისი 2019:
<https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/053901887026002001>

Dragneva, R. & Wolczuk, K. (2015). *Ukraine Between the EU and Russia: The Integration Challenge* (New York: Palgrave Macmillan).

Korostelina, K. V. (2013). Mapping national identity narratives in Ukraine. *Nationalities Papers*,41(2), 293-315. doi:10.1080/00905992.2012.747498

Gwendolyn Sasse & Alice Lackner (2018): War and identity: the case of the Donbas in Ukraine, *Post-Soviet Affairs*, DOI: 10.1080/1060586X.2018.1452209

Smoor, L. (2017). Understanding the Narratives Explaining the Ukrainian Crisis: Identity Divisions and Complex Diversity in Ukraine. *Acta Universitatis Sapientiae, European and Regional Studies*,11(1), 63-96. doi:10.1515/auseur-2017-0004

Smith, A. D. (1991). National Identity. Retrieved May 12, 2019, from
https://books.google.com/books/about/National_Identity.html?id=bEAJbHBIXR8C

Snyder, J. & Ballentine, K. (1996). Nationalism and the Marketplace of Ideas. *International Security* 21(2), 5-40. The MIT Press. ბოლო ნახვა 12 მაისი 2019
<https://muse.jhu.edu/article/447438/pdf>

Zhurzhenko, T. (2002). "Language Politics" in Contemporary Ukraine: Nationalism and Identity Formation. IWM Junior Visiting Fellows Conferences, XII/2. ბოლო ნახვა თებერვალი 19, 2019, from <http://www.iwm.at/wp-content/uploads/jc-12-02.pdf>

Ukrainian Centre for Independent Political Research. (2017). Russophone identity in Ukraine - international-alert.org. ბოლო ნახვა თებერვალი 19, 2019, https://www.international-alert.org/sites/default/files/Ukraine_Russophonelidentity_Spreads_EN_2017.pdf

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lela Lataria

The war between Ukraine and Russia and Ukrainian national identity

Nationalism and Ethnicity Studies

Thesis is written to obtain a Master's Degree of Nationalism and
Ethnicity Studies

Davit Matsaberidze

Assistant professor

Tbilisi 2019